

ԱՇԵՐՁԱՌՋԱՆՈՅ ՕՍԹՈՐՈՅ

ՍԱԵՋԼՄԸՆՎԱՆԵԼՈ





Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin*,
sözləri *Əhməd Cavadındır*.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırlız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayraqınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayraqını yüksəltməyə
Cümə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

LAYIM



LAYIT

ՀՅՈՒԱՆ ԱԼՈՅՅՈ
ԱԽԵՐՔԱՇՎԵԼՈ ԿԱՂԿՈՍ ՍԱՐԾՈՅ ԹՐՈՅՆԵԼՈ ՀՈԴԵՐՈ

LAYİH

იაგუბ მაჰმუდლუ, ხაჯარ ალიშოვი,
ლეილა ჰუსეინოვა, ხაფიზ ჯაბაროვი,
ესმირა მუსაევა, სევილ ბახრამოვი

აზერბაიჯანის ისტორია 8

სახელმძღვანელო

საერთო- საგანმანათლებლო სკოლების
მე- 8 კლასისათვის

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები, შენიშვნები და
წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ
მისამართზე: tahsil_az@yahoo.com და derslik@edu.gov.az
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!



ბაქო-2017 წ.

LAYIH

**სახელმძღვანელოში გამოყენებული
პირობითი აღნიშვნები**



— მიმანიშნებელი კითხვები



— წყაროები



— ეს საინტერესოა



— მონაცემები

LAYIH

ჩვენი ეროვნულ-სულუერი ფასეულობები, ჩვენი იეტორიული ფესვები, ჩვენი ენა და რელიგია – ყველაფერი ეს შეადგენს დიდ ნაწილს, ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის დიდ შტოს.

აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი

თავამედროვება დაკავშირებულია ინოვაციებთან და იმავდროულად ეროვნულ ფასეულობებთანაც, ეროვნულ ფესვებთან. ეს იდეა, რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანს გააჩნია ყველასათვის ცნობილია. აზერბაიჯანელი ხალხი ყოველთვის მიბმული იყო თავის ფესვებს, ყოველი ჩვენი მომავალი წარმატება დაკავშირებულია ამ ფაქტორებთან. ჩვენი მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის საფუძველზე, ჩვენ ვაშენებთ თანამედროვე და ძლიერ აზერბაიჯანს.

ილჰამ ალიევი
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი

LAYIH

შინაარსი

I. აზერბაიჯანი XVI საუკუნის მეორე ნახევარში – XVII საუკუნეში

1. აზერბაიჯანული სეფიანთთა სახელმწიფო XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში.....	10
2. გზა, რომელიც დაცემიდან ძლიერებისაკენ მიდის	15
3. აზერბაიჯანული მიწების განთავისუფლება.....	20
4. XVI საუკუნის მეორე ნახევრის - XVII საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრება.....	26
5. აზერბაიჯანის საერთაშორისო კავშირები.....	31
6. აზერბაიჯანის XVII საუკუნის კულტურა	36

II. აზერბაიჯანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

7. XVIII საუკუნეში პოლიტიკური სიტუაცია სეფიანთა სახელმწიფოში	41
8. რუსეთი ემზადება კასპიის ზღვის ბასეინის დასაღაშქრად	47
9. აზერბაიჯანის მიწების განაწილება ორ სახელმწიფოს შორის	52
10. აზერბაიჯანი რუსეთისა და ოსმალეთის მმართველობაში	58
11. ნადირ ხან აფშარმა აღადგინა სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრები .64	
12. აფშართა აზერბაიჯანული სახელმწიფო	69
I. იმპერია ერთი ცხოვრების ხანგრძლივობით.....	69
II. მარცხისაკენ მიმავალი გზა.....	75
III. აფშართა აზერბაიჯანული სახელმწიფოს დაცემა	80

III. აფშართა იმპერიიდან სახანოებამდე – აზერბაიჯანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

13. აზერბაიჯანის მიწების გაერთიანობის მცდელობა	86
I. პირველი დამოუკიდებელი აზერბაიჯანული სახელმწიფო.....	86
II. აზერბაიჯანის სამხრეთ სახანოები	91
III. გუბის სახანო ჩრდილო – აღმოსავლეთის აზერბაიჯანული სახელმწიფო	95
IV. გაერთიანების პოლიტიკის მეორე ეტაპი	99
V. ბეილერბეგობადან სახანომდე	105
14. დასავლეთ-აზერბაიჯანული სახანოები	111

15. ორმმართველობითი სახანო	117
16. ბაქოს, დერბენტის და ლენქორანის სახანო	122
17. საჯამაათოები, სასულთანოები და სამელიქებოები.....	126
18. აზერბაიჯანული სახელმწიფოს გაერთიანების ბოლო მცდელობა.130	
I. აღა- მაჰმად -ხან ყაჯარის პირველი ლაშქრობა ჩრდილოეთში	130
II. ბოლო მცდელობა	134
19. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრება.....	138
20. ეკონომიკური მდგომარეობა, ხელობა, ვაჭრობა	144
21. აზერბაიჯანის კულტურა XVIII საუკუნეში.....	150

IV. სახანოებიდან კოლონიალურ დამოკიდებულებმდე – აზერბაიჯანი XIX საუკუნეში

22. მეფის რუსეთი იწყებს სამხრეთ აზერბაიჯანის დაპყრობას	156
23. მეფის რუსეთის შემოსვლა აზერბაიჯანში	161
24. ყაჯართა სახელმწიფო ითხოვს რუსეთისგან ჯარის გაყვანა	166
25. დაპყრობა გრძელდება.....	170
26. გიულისტანის ხელშეკრულება	174
27. რუსეთის კოლონიალური რეჟიმი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში.....	180
28. რუსული ჯარი შედის თავრიზში	184
29. თურქმენჩაის ხელშეკრულება	191
ხელშეკრულება, რომელმაც დაყო აზერბაიჯანი და გადააქცია კოლონიად	196

L A Y İ H

ძვირფასო სკოლელებო!

თქვენ უკვე ისწავლეთ აზერბაიჯანის შუა საუკუნეების ისტორია. ამ სახელმძღვანელოს დახმარებით, ტქვენ შეისწავლით აზერბაიჯანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას XVI საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. ახალ ხანაში აზერბაიჯანი შევიდა თავისთვის რთულ ვითარებაში. ისტორიული პიროვნებებისა და ჩვენი თავისუბლების მოყვარული ხალხის წყალობით აზერბაიჯანულმა სახელმწიფოებრიობა XIX საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა. ეს იყოჩვენი სამშობლოსათვის რთული პერიოდი.

თქვენთვის უკვე ცნობილია მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ აზერბაიჯანულ სეფიადურ სახელმწიფოში. როგორც ყველა იმპერია, ასევე სეფიანთა სახელმწიფომაც მიაღწია თავისი დაცემის ხანას. ოსმალეთ – სეფიანთა ომებმა, შიდა დაპირისპირებებმა ბოლო მოუღეს აღმოსავლეტის ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოს – სეფიანთა იმპერიას. ამ დროს ისტორიულ არენაზე გამოვიდა აზერბაიჯანელი მხედართმთავარი ნადირ ხან აფშარი. მან გაამთლიანა სახელმწიფო და აღადგინა სახელმწიფოს საზღვრები.

კიდევ ერთი ეტაპი აზერბაიჯანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში არის სახანოების ხანა. XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურმა დაქუცმაცებამ აზერბაიჯანის ტერიტორიების რუსეთსა და გაჯართა სახელმწიფოს მიერ დაყოფით დასრულდა. ამ სახელმძღვანელოში მოცემულია აზერბაიჯანის გაყოფის ისტორიული ანალიზი სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკა, დაპყრობის შემდგომი ვითარება.


აზერბაიჯანის ისტორიის კიდევ ერთ ხანას წარმოადგენს სახანოების დრო. XIX საუკუნის პოლიტიკური დანწევრება დამთავრდა აზერბაიჯანის მიწების რუსეთისა და ყაჯართა სახელმწიფოს შორის დაყოფით. გიულისტანისა და თურქმენების ხელშეკრულებები მიეკუთვნება ისტორიის ყველაზე უსამართლო პოლიტიკურ დოკუმენტთა რიცხვს. ამ სახელმძღვანელოში ისტორიული ანალიზი უკეთდება აზერბაიჯანის ორ ნაწილად დაყოფას, სახელმწიფოს მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციას, დაპყრობოს შედეგებს.

სახელმძღვანელოს მასალების შესწავლის საფუძველზე თქვენ გაარკვევთ თანამედროვე გენოციდისა და დაპყრობების ისტორიულ ფესვებს. თქვენ შეისწავლით სომხების ჩრდილო აზერბაიჯანში გადმოსახლების, მათ დასახლებას აზერბაიჯანის მიწებზე და გამოგონილი ეგრეთ წოდებული „სომხური სახელმწიფო“ შექმნის საფუძვლებსა და მიზეზებს. ამ სახელმძღვანელოს საშუალებით თქვენ გაიცნობთ ისეთ ისტორიულ პირებს, როგორებიც არიან ნადირ შაჰ აფშარი, აღა მაჰმად ხან ყაჯარი, ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ, პანაზ ალი ხანი, ფათალი ხან გუბელი და სხვა. თვალს ადევნებთ ისტორიულ მოვლენებს, რომლებსაც მისცემტ საკუთარ შეფასებებს.

ეს სახელმძღვანელო განვითარება სრულყოფილი და საიმედო დამხმარე ჩვენი ისტორიის შესწავლა გამოკვლევაში. ღრმად შეისწავლეთ ჩვენი სამშობლოს ისტორია!

აზერბაიჯანი XVI საუკუნის მეორე ნახევარში – XVII საუკუნეში

I



აზერბაიჯანი XVIII საუკუნეში

1. აზერბაიჯანული სეფიანთთა სახელმწიფო XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში

შაჰ ისმაილ I მიერ დაწყებული აზერბაიჯანის მიწების გაერთიანების პოლიტიკა მისი სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. 1538 წელს შაჰ თახმასიბ I დაამხო შირვანშაჰთა სახელმწიფო, 1551 წელს დაასრულა თავისი არსებობა შექის მმართველობამ. ამით დამთავრდა აზერბაიჯანული მიწების გაერთიანების პროცესი ერთიან სახელმწიფოში.

ორ ერთი რელიგიის მიმდევარ და ერთიანი ფესვების მქონე სახელმწიფოთა შორის - ოსმალეთსა და სეფევიანთთა სახელმწიფოებს შორის ომების პირველი ეტაპი XVI საუკუნის ბოლოს დასრულდა. 1555 წლის ამასიის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს დასავლეთი ოსმალებს გადაეცათ, ხოლო აღმოსავლეთი კი სეფიანთთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. შემდგომში ოსმალებმა დაარღვიეს ამასიის ხელშეკრულება.



როგორი იყო სეფიანთთა იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება XVI საუკუნის შემცირების ნახევარში?

რა გახდა მიზეზი და რა შედეგები გამოიღო ოსმალეთ-სეფიანთთა ომის შემცირების უზარმადობაში?



შაჰ თახმასიბ I

სეფიანთთა ტახტისათვის ბრძოლა. 1576 წელს შაჰ თახმასიბ I სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიბა ისმაილ II (1576–1577), მაგრამ შეთქმულების შედეგად იგი მოკლული იქნა.

ტახტისათვის ბრძოლის შედეგად შაჰიდ აირჩიეს მუჰამედ ხუდაბენდე (1578–1587).

მუჰამედ ხუდაბენდეს მმართველობის დროს ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა. სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა. ყიზილბაშმა ამერებმა დაიწყეს სახელმწიფოს მმართვა თავისი შეხედულებისამებრ.


ამან კიდევ უფრო დაასუსტა სახელმწიფო. ყიზიბასელ ტომებს სორის განხეთქილება სუფევდა.

ოსმალეთის სულთანმა მურად III (1574–1595) გადაწყვიტა ესარგებლა ამ სიტუაციით.

1578 წელს ოსმალეთის ჯარმა დაარღვია ამასიის ხელშეკრულება და სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრები გადმოკვეთა. ამით 1578–1590 დაიწყო ოსმალეთ-სეფიანთთა ომის მეორე ეტაპი. პირველ ბრძოლებში სეფიანთთა ჯარმა გამარჯვებებს მიაღწია, მაგრამ შემდგომ ოსმალეტის ჯარმა დახმარება მიიღო. 1578

წელს ჩილდირის მახლობლად ოსმალებმა დაამარცხეს სეფიანელები. სეფიანთა დაამარცხების ძირითადი მიზეზები იყო ოსმალების რიცხვობრივი უპირატესობა და სეფიანთა რიგებში ერთობის არარსებობა. ამ გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა ოსმალებს საქართველოს დასაპყრობად. შემდეგ ოსმალებმა შირვანიც დაიპყრეს.

სეფიანთა წინააღმდეგ ასევე ყირიმის სახანოც ომობდა, ვინაიდან ყირიმი ოსმალეთზე დამოკიდებული იყო. ყიზილბაშების ძირითადმა ძალებმა დაიწყეს შირვანის განთავისუფლება. 1578 წლის ნოემბერში მდინარე აღსუსთან მოლაგანის მახლობლად ყიზილბაშებმა გაანადგურეს ყირიმელი ხანის ჯარი. თვითონ ხანი ტყვედ იქნა აყვანილი. ყიზილბაშებმა შირვანი გაანთავისუფლეს, მაგრამ დერბენტის აღება ვერ შესძლეს. მაგრამ ყიზილბაშებს შორის ურთიერთშეუდლის გაძლიერებამ



შაჰ ისმაილ II



რა გახდა მიზეზი სეფიანთთა სახელმწიფოს დასუსტებისა?



შაჰ მუჰამედ ხუდაბენდის მონეტა

LAW

შესაძლებლობა მისცა ოსმალებს თავიანთ სასარგებლოდ მოეტრია-
ლებინად მდგომარეობა. შირვანი კვლავ ოსმალების ხელში გადავიდა.



აზერბაიჯანულ სეფიანთთა სახელმწიფო XVI საუკუნის ბოლოს

1583 წელს ნიაზაბადთან ყიზილბასებმა კვლავ გაიმარჯვეს.

თავრიზის დაცვა. 1583 წელს ოსმალები გაძლიერებული ჯარით დაესხნენ ცუხურსაადს. ყიზილბაშური ტომების სუღლის გამო ისინი ვერ ერთიანდებოდნენ და ამან ხელი შეუწყო ოსმალების გამარჯვებას. 1585 წელს სუფიის ბრძოლაში ოსმალების რიცხვობრივი უპირატესობის გამო ყიზილბასებს უკან დახევა მოუწიათ.

ამის შემდეგ ოსმალეთის ჯარი თავრიზს მიადგა. ოსმალეთის ჯარის რამოდენიმე შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. არტილერიის გამოყენებით, მათ მაინც მიაღწიეს სასურველ შედეგს. სისხლისმდვრელი ომი ყოველი სახლისათვის მიმდინარეობდა. ოსმან ფაშა გამრისხდა და ქალაქი იანიჩარებს გასაძარცვად მისცა. უძვირფასესი სასახლეები და მეჩეთები გაძარცული იყო. თავრიზის ბაზარი გეისარაიე გააპარტახეს და გადაწვეს. მაგრამ თავრიზელთა მამაცობამ თურქები დააღონა.

ერთი თვის შემდეგ ოსმალებმა დატოვეს თავრიზი. ყიზილბაშებმა ორჯერ სძლიერ ისახავდნენ თავრიზის მახლობლად.

ომის შედეგად ორივე მხარემ უდიდესი დანაკარგები განიცადეს. ამიტომაც დაიწყო მოლაპარაკებები. ოსმალეტის სულთანმა შესთავაზაზა ზავი იმ პირობით, რომ ოსმალეთს დარჩებოდა ყველა ის მიწები, რომელნიც მათ უკვე დაიკავეს. სეფიანთთა მხედართმთავარს შაჰის შვილს ხამზა მირზას არ სურდა თავრიზის ოსმალებისათვის დატოვება.

ხამზა მირზა მოკლული იყო შეთქმულების შედეგად. მოლაპარაკებები ჩაიშალა. 1586–1589 წელს ოსმალებმა დაიპყრეს აზერბაიჯანის ნახევარზე მეტი. დასავლეთ საზღვრებზეც დაიძაბა ვითარება. შეიბანიდებმა ისარგებლეს რა სეფიანთთა ომით ოსმალებთან დაიპყრეს ხორასანი. სეფიანთთა სახელმწიფო იძულებული გახდა ორ ფრონტზე ეომა.




რა გავლენა მოახდინა თავრიზის დაცემამ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე სახელმწიფოში?

LAYIH



კითხვები და დავალებები

1. რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი სეფიანთთა სახელმწიფოში XVI საუკუნის 70-იან წლებში?
2. ახსენით ყიზილბაშთა დამარცხების მიზეზები ჩილდირის ბრძოლაში
3. რომელი ტერიტორიები დაკარგეს სეფიანთთა სახელმწიფომ სეფიანთ ოსმალების ომის მეორე ეტაპის დროს?
4. აღნიშნეთ რუკაზე ჩუქურსაადის ოლქის განლაგების ადგილი?
5. განააღმინეთ სეფიანთთა სახელმწიფოს შიდა მდგომარეობა XVI საუკუნის 70-იან წლებში.
6. მოამზადეთ პრეზენტაცია სეფიანთ - ოსმალეთის ომების ეტაპების შესახებ.
7. განსაზღვრეთ ისტორიული მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.



LAYIH
14

2. გზა, რომელიც დაცემიდან ძლიერებისაკენ მიდის

სეფიანთთა სახელმწიფოში პოლიტიკური ვითარება დღითი-დღე უარესდებოდა, ამიტომაც სახელმწიფოს სჩირდებოდა სათავეში ისეთი ძლიერი პიროვნება, რომელიც შესძლებდა პოლიტიკური ვითარების გამოსწორებას. ესეთი პიროვნება გახდა შაჰ აბას I. შაჰ აბას I (1587–1629), 42 წელი მართავდა სეფიანთთა სახელმწიფოს, და იყო ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება აზერბაიჯანის ისტორიაში, ყველაზე ცნობილი შაჰ ისმაელ I შემდეგ სეფიანთთა დინასტიიდან. ევროპაში მას „აბას დიდის“ უწოდებდნენ.



როგორ შესძლო შაჰ აბას I-მა
სეფიანთთა სახელმწიფოს კრიზისი-
დან გამოყვანა?



როგორ შესძლო შაჰ აბას I ხელისუფლებაში მოსვლა. XVI საუკუნის 80-იან წლებში ოსმალეთთა ომმა გააუარესა სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში. ქვეყნის უდიდესი ნაწილი დაბყრობილი იყო. ესეთ პირობებში 1587 წელს მოხდა გადატრიალება. მუჰამედ ხუდაბენდე ჩამოგდებული იქნა ტახტიდან. მისი შვილი- აბასი გამოცხადდა შაჰად.

შაჰ აბას I-მა ხელისუფლებაში მოსვლისას, საელმწიფოს გადარჩენის მიზნით, პირველ რიგში, დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ოსმალეთის სახელმწიფოსთან. მოლაპარაკებების შედეგად 1590 წელს სტამბულში ორ სახელმწიფოს შორის დაიდო მშვიდობიანი ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მთელი აზერბაიჯანის მიწები არდებილის, ხალხ-ალასი, გარაჯადაგასი, ზენჯანის და ლენქორანისა გადავიდა ოსმალეთის მმართველობაში. ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობაში ასევე გადავიდა აღმოსავლეთისა და ირანის დასავლეთი ოლქები.

1590 წლის სტამბულის მშვიდობიანი ხელშეკრულება იყო პირველი რომელზეც



შაჰ აბას I

LAIK



რითი განსხვავდებოდა სტა-
მბულის 1590 წლის ხელშეკ-
რულება, იმისგან განსხვა-
ვებით რომლის ხელმოწერაც
ხამზა მირზას სურდა?



ცხენოსანი მედროშე



რატომ დაიწყო შაჰ აბას I-მა
თავისი რეფორმები ამ წომ-
ების მიღებით?

სამხედრო რეფორმა. შაჰ აბას I რეფორმებამდე სეფიანთთა სახელ-
მწიფოში არ არსებობდა რეგულარული ჯარი. ჯარი შედგებოდა აზერბ-
აიჯანურ (ყიზილბაშურ) ტომების არარეგულარული სამხედრო
დანაყოფებისგან. ტომების წარმომადგენლები ხშირად არ ემორჩილე-
ბოდნენ მხედართმთავარს და მოქმედებდნენ თავის შეხედულებისამებრ.
სუსტი დისტიპლინა და ტომებს შორის ურთიერთ შუღლი ამცირებდა
სეფიანთთა ჯარის ბრძოლისუნარიანობას. ჯარში მცირედ იყენებდნენ
ცეცხლსასროლ იარაღს.

სეფიანთთა სახელმწიფომ მოაწერა ხელი
მძიმე პირობებს. აზერბაიჯანის სეფიანთთა
სახელმწიფომ დაკარგა თავისი მიწების
მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის შემდეგ შაჰ
აბას I-მა დაიწყო სახელმწიფოში პოლიტი-
კური სტაბილურობის დამყარება.

1593 წელს შაჰ აბას I-მა გააერთიანა
არდებილის, ზენჯანის, ხალხალის, გარაჯ-
ადაგის და ლენქორანის ოლქები, უდიდესი
ტერიტორიები რომლებიც განლაგებული
იყვნენ მდინარეებს ყიზილუზენსა და
მტკვარს შორის, ერთიან აზერბაიჯანულ
ბეილიარბეგოვაში. ბეილარბეგობას გააჩნ-
და სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფები
სახელწოდებით „აზერბაიჯანული ჯარი“.
ასე შეინარჩუნა აზერბაიჯანის ტრადი-
ციები შაჰ აბას I-მა.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიე-
რება. შაჰ აბას I მიერ ოსმალებთა ზავის
დადების შემდეგ, სახელმწიფოში სიწყნარე
დამყარდა. დაკარგული სეფიანთთა მიწე-
ბისა და სახელმწიფოს შერყეული სიძლიე-
რის აღსადგენად მან დაიწყო რეფორმები.
რეფორმები ძირითადად სამხედრო და
ადმინისტრაციულ სფეროში ჩატარდა. შაჰ
აბას I-მა დასაჯა რამოდენიმე ყიზილბაში
თავადი, რომლებიც ცენტრალური ხელის-
უფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.
გაუქმდა მექვიდრეობის პრინციპი ყიზი-
ლიბაშური ტომების მმართველობაში. ამ
ღონისძიებებმა დაამყარეს სიწყნარე ქვეყა-
ნაში და გააძლიერეს ცენტრალური ხელი-
სუფლება.


სეფიანთთა ჯარის ძველებური დიდების აღსადგენად საჭირო იყო, ჯარში საფუძვლიანი რეფორმების ჩატარება. შაჰ აბას I-მა რეორგანიზაცია მოახდინა სეფიანთთა ჯარში. ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმატებული ომის საწარმოებლად მან შექმნა რეგულარული ჯარი, რომელიც შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღებით. ესეთი ჯარი ასევე ეფექტური იყო ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლადაც. სამხედრო რეფორმის შედეგად შექმნა სახვადასხვა ტომებისაგან შემდგარი ჯარი; შექმნა ჯარების სახეობა სხვადასხვა დანაყოფებში.


რიგი ცვლილებებისა ჩატარდა ასევე ადმინისტრაციულ დარგშიც. რეფორმების შედგეგად, რომლებიც დაიწყო აზერბაიჯანულ საბეილარბეგოს შექმნით. დამთავრდა 1598 წელს სახელმწიფოს დედაქალაქის გადატანით ქალაქ ისფაპანში. თავისი მდგომარეობის გასამყარებლად შაჰ აბას I-მა გადმოასახლა მოსახლეობა აზერბაიჯანის სხვადასხვა ოლქებიდან. ამ პერიოდში შაჰის სასახლეში უპირატესობით სარგებლობდა აზერბაიჯანული ენა, დიპლომატიურ დოკუმენტებში კი მხოლოდ აზერბაიჯანული.

შაჰ აბას I საგარეო პოლიტიკა. შაჰ აბას I მიერ ჩატარებულმა რეფორმებმა, მნიშვნელოვნად გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება და აღადგინა სეფიანთთა სახელმწიფოს ძველი დიდება. დიპლომატიური



ტუფენკჩი





სეფიანთთა ქვემეხები- ზარბაზნები



რომელი მსხვილი ბრძოლა წააგო სეფიანთთა ჯარმა ცეცხლსასროლი იარაღის უქონლობის გამო?

ურთიერთობის გაფართოვების მიზნით შაჰ აბას I აწარმოებდა მოლაპარაკებებს ძლიერ ევროპულ ქვეყნებთან- წმინდა რომის იმპერიასთან,

ინგლისთა, საფრანგეთთან, ესპანეთთან და რუსეთთან. დიპლომატიური ურთიერთობების არსში იდო ორივე მხარის პოლიტიკური და ეკონომიკურ ინტერესები. ეს ახდენდა სეფიანთთა სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას.

XVI საუკუნის ბოლოს სეფიანთთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წინაშე იდგა მნიშვნელოვანი ამოცანები რომლებიც უნდა გადაწყვეტილიყო. მთავარ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა. ამისათვის აუცილებელი იყო ხორასანის განთავისუფლება შეიბანიდებისგან, ოსმალეთის მიერ წართმეული მიწების დაბრუნება და სპარსეთის ყურის უმნიშვნელოვანესი პორტის –



შაჰ აბას I მეჩეთი ისპაჰანში

ომრუზის* პორტუგალიელებისგან განთავისუფლება, მათი გეგემონიის ბოლოს მოღება. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად პირველი ნაბიჯები აღმოსავლეთ საზღვრებისკენ გადაიდგა. 1599 წელს შეიბანიდები დამარცხებულნი იყვნენ და ხორასანი უკან იქნა დაბრუნებული.




აზერბაიჯანული ისტორიკოსი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე აბასგულუჟ, ადა, ბაკისანოვი თავის ცნობილ ნაწარმოებში „გიულისტანი ირან“ წერდა: „შაჰ აბას I განთქმული იყო, როგორც ბრძენი სახელმწიფო მმართველი და შემოქმედი, რომელმაც დატოვა ისეთი სამოქალაქო და სამხედრო წყობილება, რომლითაც დღემდე სარგებლობენ...შაჰ აბას I-მა ააშენა იმდენი საზოგადო შენობა რომ ვერცერთი აღმოსავლეთის მმართველი ვერ შეეჯიბრებოდა, მეჩეთები და მექტებები, რომელიც აშენდა სპარსეთისა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში, ქარავან სარაიები და წყალგაყვანილობები, რომელიც გაყვანილი იქნა მდელოებში, კიდევ დიდი ხანი იქნებიან მოწმეები მისი ღირსეული საქმეებისა. შაჰ აბას I მეგობრობდა თავისი დროის პოეტებთან და მეცნიერებთან, თვითონ წერდა ლექსებს, რომელნიც დღესაც ფასობენ.“



კითხვები და დავალებები

1. რომელი აზერბაიჯანული მიწები გადაეცა ოსმალებს 1590 წლის სტამბულის ხელშეკრულების მიხედვით?
2. რა მიზნები ამოძრავებდა შაჰ აბას I 1593 წელს აზერბაიჯანის საბეილაბეგოს შექმნისას?
3. რა ზომები მიიღო შაჰ აბას I -მა ცენტრალური ხელისუფლების გასამღებელობად?
4. შაჰ აბას I მიერ ჩატარებული რეფორმების შდეგად რა სახის ჯარი იქნა შექმნილი?
5. რა საგარეო მიოცნის წინაშე იდგა სეფიანთთა სახელმწიფო XVI სულუნში?
6. რომელ ევროპულ ქვეყნებთან დაამყარა სეფიანთთა სახელმწიფომ ურთიერთობა ოსმალების წინააღმდეგ?
7. წყაროების საფუძველზე დაახასიათეთ შაჰ აბას I პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს მმართველის. ჩაწერეთ ცხრილში მისი დამსახურებები პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროში. გადახაზეთ ცხრილი რევულში
8. შეადგინეთ ცხრილი შაჰ აბას I სამხედრო რეფორმების ცხრილი.
9. განსაზღვრეთ მნიშვნელოვანი მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.

პოლიტიკა	ეკონომიკა	კულტურა



* ორმუზი – სრუტე, რომელიც აერთიანებს სპასრეთის და ომანის ყურეს. ამ სრუტით სეფიანელები ინდოეთის ოკეანეში გადიოდნენ

3. აზერბაიჯანული მიწების განთავისუფლება

სეფიანთა სახელმწიფოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა ოსმზღვების მიერ მათი დაპყრობილი მიწების დაბრუნება. ევროპული სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ ოსმალეთისა და სეფიანთა სახელმწიფოს დაპირისპირებაში. ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო სთავაზობდა კავშირის შექმნას ოსმალების წინააღმდეგ. ესპანეთის მეფე ასევე აქტუებდა სეფიანთა სახელმწიფოს ოსმალეთის იმპერიასთან ომისათვის და პირდებოდა დახმარებას სპარსეთის ყურეში. ოსმალეთის განდევნა წინა კავკასიიდან ასევე რუსეთსაც აწყობდა. ოსმალეთის ბატონობა კასპიის ჩრდილო ოლქებში ასევე ხელს უშლიდა ვოლგა-კასპიის ვაჭრობას. ყველაფერმა ამან მისცა – მესამე ოსმალეთ-სეფიანთა ომს ახალი ბიძგი.



რითი დამთავრდა ოსმალეთ - სეფიანთა ომები, რომელიც ასი წელი მიმდინარეობდა?
მიაღწიეს თუ არა ევროპელმა სახელმწიფოებმა სასურველ შედეგებს?



გამარჯვებითი ომების ხანა. XVII დასაწყისში აზერბაიჯანის მიწებზე, რომელიც ოსმალების ბატონობის ქვეშ იყვნენ დაიწყო აჯანყებები. ამით ისარგებლა შაჰ აბას I და დაიწყო საომარი მოქმედებები ოსმალეთის წინააღმდეგ. ამის შედეგად 1603 წელს დაიწყო ოსმალეთ- სეფიანთა ომების ახალი ეტაპი. შაჰ აბას I მიერ რეორგანიზებულმა ჯარმა თავისი სიძლიერე აჩვენა. აჯანყებულ ხალხის დასახმარებლად ახალი ჯარი თავრიზისკენ დაიძრა. მოსახლეობის დახმარებით, ოსმალეთის იმპერიის ჯარი განდევნილი იყო ქალაქიდან და ახლომდებარე მიწებიდან. ასე დაბრუნდა სამხრეთ აზერბაიჯანის მიწები სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ჩრდილოეთით ლაშქრობის დროს ყიზილბაშურმა ჯარმა წინააღმდეგ-გობის გარეშე ჯულფა და ნახიჩევანი გაანთავისუფლა. ამის შემხედვარე ორდუბადის მოსახლეობაც აჯანყდა. ორდუბადელები შეხვდნენ სეფიანთა ჯარს დიდი სისარულით. მხარდაჭერისათვის, შაჰ აბას I გაანთავისუფლა ორდუბადის მოსახლეობა ყველანაირი გადასახადებისაგან.

„დიდი გათასახლება“. ჯულფის, ნახიჩევანისა და ორდუბადის განთავისუფლების შემდეგ ყიზილბაშური ჯარი ირევანს მიადგა. ირევანის გასანთავისუფლებლად პირველად იქნა გამოყენებული არტილერია - აზერბაიჯანელი ხელოსნების მიერ შექმნილი ზარბაზნები. 1604 წელს

ქალაქი განთავისუფლდა. სეფიანთთა ჯარმა გააგრძელა ლაშქრობა და გაანთავისუფლა მიწები ყარსამდე. ამ დროს გავრცელდა ცნობა ოსმალეთის ჯარის აზერბაიჯანში შემოჭრის თაობაზე. შაჰ აბას I შეატრიალა ჯარი თავრიზისაკენ. ოსმალების წინააღმდეგ გამოყენებული იქნა „გადამწვარი მიწის“ ტრადიციული ტაქტიკა. უკან დახევის დროს ქალაქებსა და სოფლებში ყველაფერი ნადგურდებოდა, რაც კი შეიძლებოდა ოსმალებს გამოდგომოდათ. ეს მოვლენა ისტორიასი დარჩა, როგორც მოსახლეობის „დიდი გადასახლება“. მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა არაქსის მარცხენა მხარეს: ნახიჩევანის, ორდუბადის, ჯულფის, ირვანის და სხვა დასახლებული პუნქტების მცვიდრნი გადასახლებულნი იყვნენ ისფაპანს, მარაზდანსა და სხვა ირანის ოლქებში. შაჰ აბას I „დიდი გადასახლების“ პოლიტიკა მიზნად ისახავდა ოსმალეთის ჯარის წინსვლის შეჩერებას. ასევე შაჰ აბას I ითვალისწინებდა ეკონომიკურ მიზნებსაც, როგორც ცნობილია სავაჭრო გზები ოსმალეთის ტერიტორიაზე გადიოდა. ამიტომაც შაჰ აბას I სურდა სავაჭრო გზების სამხრეთით სპარსეთის ყურის პორტებისკენ გადამისამართება.

სამხედრო ოპერაციები გრძელდებოდა. 1605 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში სუფიანთან სეფიანთთა ჯარმა მტერი დაამარცხა. ამ ბრძოლამ ომის შემდეგ ბედზე დიდი გავლენა მოახდინა. 1605–697 წლებში განთავისუფლებული იქნა ყარაბაღი, განჯა და შირვანი. ასე, რომ ყველა აზერბაიჯანული მიწები ისმალებისაგან განთავისუფლდა.

ჯალაირიდთა მოძრაობა. ჯალაირიდთა მოძრაობის დასახელება დაკავშირებულია აჯანყების პირველი მეთაურის სახელთან - შეინ ჯალალთან. აჯანყება დაიწყო ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ანატოლიაში, როდესც ჯერ კიდევ აზერბაიჯანთან დაკავშირებული რა მოვლრნები არის აღწერილი დასტან „ქოროღლიში“?

აზერბაიჯანის ტერიტორიები იყო. XVI საუკუნის 90-ან წლებში კვლავ გააქტიურდა და XVII საუკუნის დასაწყისში ჯალაირიდთა მოძრაობა აზერბაიჯანის სხვა ოლქებშიც გავრცელდა. ოსმალების მიერ დაპყრობილ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე დაიწყო ჯალაირიდთა მოძრაობა დამპყრობლების წინააღმდეგ

ომში ოსმალების წინააღმდეგ შაჰ აბას I გამოიყენა ჯალაირიდთა რაზმები. ერთ-ერთ ესეთ რაზმს ხელმძღვანელობდა განთქმული სახალხო გმირი ქორღლი. მაგრამ ჯალაირიდთა რაზმების შეუთანხმებლობის გამო მათ დატოვეს სეფიანთთა ტერიტორია და კვლავ ანატოლიაში



რა მნიშვნელობა ჰქონდა ორდუბადის მოსახლეობისათვის გადასახადების განგანთავისუფლებას?



რა გავლენა მოახდინა სეფიანთთა სახელმწიფოზე „დიდიმა გადასახლებამ“?

LAWYER



აზერბაიჯანული სეფიანთა სახელმწიფო შავ აბას I და მისი
შთამომავლების მმართველობის ხანაში



აზერბაიჯანთან დაკავშირებული რა მოვლონები არის აღწერილი დასტან „ქორთულიში“?

გადავიდნენ. ზოგი მათგანი აგრძელებდა ბრძოლას შავ აბას I ჯარში.

მეორე სტამბულისა და მარანდის ხელშეკრულებება. სტამბულის 1612 წლის ხელშეკრულებით აღდგენილ იქნა ამასიის ხელშეკრულების პირობები. ოსმალეთის იმპერიამ ოფიციალურად სცნო აზერბაიჯანის მიწები და

დასავლეთ საქართველო სეფიანთა სახელმწიფოს ტერიტორიებად. მაგრამ ეს მშვიდობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა.


ოსმალეთის სულთანმა – სულთან აქმედ I დაიწყო საომარი მოქმედებები სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი ბრძანებით დაილაშქრა თავრიზი. მაგრამ, მოსახლეობის წინააღმდეგობამ, ცივმა ზამთარმა და სურსათის ნაკლებობამ შეაფერხა ოსმალეთის ჯარის წინსვლა. 1618 წელს სარაბის ოლქში, სინიგ ქიორფუსთან (გატეხილ ხიდთან) ოსმალებსა და სეფიანთა შორის მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ოსმალეთისა და ყირიმის ჯარმა წაგება იწვნია. ამის შემდეგ ოსმალები იძულებულნი გახდნენ დაედოთ ახალი მარანდის ზავი. ამ ხელშეკრულებით დადასტურდა ამასის ხელშეკრულების პირობები.

XVII საუკუნის 20-ას წლებში ოსმალეთის შიდა არეულობებმა დაასუსტეს პოლიტიკურ - ეკონომიკური მდგომარეობა იმპერიაში.

ამით ისარგებლა შაჰ აბას I და უკან დაიბრუნა ქალაქები - ბაღდადი, ქერბალა, მოსული, ნაჯაფი.

ორმუზის განთავისუფლება. როგორც ცნობილია XVI საუკუნეში პორტუგალიამ ისარგებლა რა სეფიანთა ომიტ ისმალებთან და დაიპყრო ორმუზის პორტი სპარსეთის ყურეში. შაჰ აბას I მიიღო სამხედრო - დიპლომატიური ზომები ორმუზის დასაბრუნებლად. ამით მან ისარგებლა ინგლისისა და პორტუგალიის სამხედრო დაპირისპირება. 1621 წელს ინგლისისა და სეფიანთა სახელმწიფოებს შორის დაიდო ხელშეკრულება „მუდმივ მეგობრობაზე“. 1622 წელს სეფიანთა სახელმწიფომ ინგლისის ფლოტის დახმარებით დაიბრუნა ორმუზი.

გასრი - შირიის ხელშეკრულება. 1629 წელს სეფიანთა ტახტზე შაჰ აბას I სიკვდილის შემდეგ ავიდა მისი შვილიშვილი – სეფი I. იმავე წელს ოსმალები დაესხნენ სეფიანთა სახელმწიფოს. ოსმალეტის სულთანმა მურად IV დაიწყო საომარი ძოქმედებები სეფიანთა წინააღმდეგ და დაიბყრო ქალაქი ირუვანი. ოსმალეთის ჯარმა 1635 წელს დაიბყრო ქალაქი თავრიზი. მოსახლეობის ძლიერმა წინააღმდეგობამ, შიმშილმა, ავადმყოფ-



ქოროლლუ

LAW



რატომ დაიწყო შაჰ აბას I XVII სუვენის 20 წლებში ომი ოსმალების წინააღმდეგ? ომა-აღმდეთის რომელი სულთანის მოღვაწეობას გავს ეს ნაბიჯი?

ობებმა და ზამთრის მოახლოებამ ოსმალები კვლავ აიძულა დაეტოვებინა აზერბაიჯანი. 1637–1638 წლებში ხანგრძლივი ბრძოლების შმდგომ, ოსმალებმა დაიბყრეს ბაღდადი.

1639 წელს სეფიანთთა და ოსმალეთის იმპერიებმა ხელი მოაწერეს გასრიშირილის მშვიდობიან ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მიხედვით არაბული

ერაყი გადადიოდა ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობაში. ტერიტორიები ზენჯირის ციხიდან აღმოსავლეთით-სეფიანთთა მმართველობაში. სეფიანთთა მიერ აღებულ იქნა არ დასხმის ვალდებულება ციხეებზე, ვანზე ყარსზე და ახალციხეზე. ამის შდეგად ოსმალეთ-სეფიანთთა ომი, რომელიც მიმდინარეობდა XVII საუკუნეში, დასრულდა. ეს დამანგრეველი ომი გრძელდებოდა ას წელზე მეტ ხანს (1514–1639 წწ.). ამ ომმა მოუტანა ორივე თურქ-მუსულმანურ სახელმწიფოებს ნგრევა და დასუსტება. „გამარჯვებული“ კი ამ ომში გახდა ევროპული დიპლომატია, რომელსაც სურდა ორივე სახელმწიფოს დასუსტება. ამით იქმნებოდა ყველა პირობა ევროპული სახელმწიფოებისათვის აღმოსავლეთში თავიანთი კოლონიალური პოლიტიკის გასატარებლად.



სეფი I შაჰად გამოცხადება




კითხვები და დავალებები

1. რომელი წლები მოიცავენ ოსმალეთ სეფიანთთა ომების მესმე ეტაპს?
2. რომელი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1603 წელს?
3. რა იყო სამხედრო და ეკონომიკური მიზანი „დიდი გადასახლების“ პოლიტიკისა?
4. აღწერეთ სტამბულის 1612 წლის ხელშეკრულების პირობები
5. დახაზეთ რვეულში ცხრილი და აღნიშნეთ მასში ხელშეკრულებები, რომელიც დაიდო ოსმალურ-სეფევითთა ომების დროს?

ხელშეკრულების დასახელება	რიცხვი	პირობები

6. აღნიშნეთ მსგავსი მოვლენების შედეგები 1639 წლის აზერბაიჯანის ისტორიისა და 1453 წლის ევროპისა
7. მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე ჯალაირიდთა მოძრაობა
8. განსაზღვრეთ მნიშვნელოვანი მოვლენები წლების მიწედვით დროის ხაზზე



LAYIH

4. XVI საუკუნის მეორე ნახევრის - XVII საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრება

ნგრევისა და სიღატავის მიუხედავად, რომელიც ოსმალურ სეფიანთა ომებმა მოიტანეს, ცხოვრება მაინც გრძელდებოდა. ომებს შორის შესვენებების დროს სოფლის მეურნეობა ცოცხლდებოდა, მოსახლეობის კუთილდღეობა ნაწილობრივ ლაგდებოდა. მართალია ხანის სიძნელეები მაინც ახდენდნენ უარყოფით გავლენას ხელობისა და ვაჭრობის განვითარებაში, მაგრამ მთლიანად ხელის შეშლას ვერ ახეხრხებდნენ. იზრდებოდნენ ქალაქები იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა, იცვლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება.




რა კერძო საკუთრების ფორმები და სოციალური წყობა არსებობდა ამ ხანის აზერბაიჯანში?


როგორი იყო ადმინისტრაციული მმართველობის სისტემა?



სოფლის მეურნეობა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში – XVII საუკუნეში აზებაიჯანელი მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმფლობელობა და მესაქონლეობა. ხორბლის კულტურა ითესებოდა თითქმის მთელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. უცხოელი ვაჭრები და მოგზაურები, რომლებიც ჩამოდიოდნენ აზერბაიჯანში, წერდნენ ხორბლის სიუხვეზე. მებადეობა და მებაღჩეობა ითვლებოდა ტრადიციულ საქმიანობად და განვითარებული იყო უმაღლეს დონეზე. მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ნაყოფები, რომელიც აზერბაიჯანის მიწებზე მოდიოდა თავისი გემოთი და ხარისხით რამდენიმეჯერ უკეთესი იყო ვიდრე მსოფლიოს სხვა კუთხეებში.



ევლია ჩელები



1



2

აზერბაიჯანული ხალიჩები: 1) XVI საუკუნე; 2) XVII საუკუნე

XVIII საუკუნის შუაში ევლია ჩელები, რომელიც იყო ოსმალეთის იმპერიის დიპლომატიური ელჩობის წევრი, გვაძლევს ცნობებს ბრინჯის, ბამბის, ყურძნისა და სხვა უამრავ ნაყოფებზე შირვანში.

ქალაქები. 1565 წელს შას თახმასიბ I-მა გამოსცა ბრძანება გადასახად თამგას გაუქმებაზე. ამ ბრძანებამ დადებითი გავლენა მოახდინა ხელობასა და ვაჭრობაზე სეფიანთთა სახელმწიფოში.


აზერბაიჯანის ქალაქების განვითარება დაკავშირებული იყო რიგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებთან. ხელობის განვითარება, ქალაქების განლაგება შიდა და საგარეო სავაჭრო გზებზე იყო ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი. მაგრამ ისეთი პოლიტიკური ფაქტორები როგორიცაა ოსმალურ-სეფევითთა ომები შიდა არეულობები ადგილობრივ ფეოდალებისა უშლიდა ხელს ქალაქების განვითარებას და მათ დასუსტებას იწვევდა. **თავრიზი,** რომელიც ითვლებოდა ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ქალაქად აზერბაიჯანში თამაშობდა განსაკუთრებულ როლს სეფიანთთა სახელმწიფოს ეკონომიკაში და ყოფით ცხოვრებაში. თავრიზელი ხელოსნების მიერ დამზადებული ნივთები განთქმულნი იყვნენ მთელს მსოფლიოში. 1539 წელს შას თახმასიბ I ბრძანებით თავრიზელი მეხალიჩების მიერ მოქსოვიდ ქნა ხალიჩა შეის სეფი, რომელიც მთელს მსოფლოში აღიარებულია, როგორც ხალიჩის ქსოვის უმაღლესი მწვერვალი.

1555 წელს დედაქალაქის გადატანამ კაზინში უარქოფითი გავლენა მოახდინა თავრიზის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე.



რატომ გადაიტანეს სეფიანელებმა დედაქალაქი თავრიზიდან კაზინში?

LAW



ბაქო XVII საუკუნის პირველ ნახევარში

ქალაქი შამახა, იყო შირვანის საბეილარბეგოს დედაქალაქი და აგრძელებდა ყოფნას როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების სავაჭრო ცენტრი.

შირვანის სეფიანთთა სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ ბაქო გადაიქცა ამ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანებს და მთავარ საპორტო ქალაქად სახელმწიფოში. ხუთასი ჭიდან რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ბაქოს გარშემო, მოიპოვებოდა ნავთობი, რომელიც საზღვაო და საქარავნო გზებით მიჰქონდათ სხვადასხვა ქვექნებში.

არდებილი ითვლებოდა სეფიანთთა ერთ-ერთ წმინდა ქალაქად.

სეფიანთთა დიპლომატი ორუჯ ბეგ ბაიათი, რომელიც გაემგზავრა და ცხოვრობდა ესპანეთში გვამცნობს ქალაქ განჯაზე – ყარაბაღის საბეილარბეგოს ცენტრად, აღნიშნავდა, რომ ამ ქალაქში ცხოვრობდა ორმოცდაათი ათასი ოჯახი.

ამ ხანაში ირევანი, ნახიჩევანი, დერბენტი, შექი და განჯა ასევე იყვნენ აზერბაიჯანის ხელოსნობის, ვაჭრობისა და კულტურის ცენტრები.


ადმინისტრაციული მმართველობა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანის ტერიტორია დაყოფილი იქნა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: შირვანის, ყარაბაღის, თავრიზის და ჩუხურსაადის საბეილარბეგოებად. საბეილარბეგოს გააჩნდა თავისი ჯარი და თვითონ კრეფდა გადასახადებს მოსახლეობისაგან. სასამართლო ორგანოები მოქმედე-



რა გავლენას ახდენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე მემკვიდრეობითი მმართველობის პრინციპი?

ბდნენ შარიათის პრინციპებზე დაყრდნობით. საბეილარბეგოში ვაზირი განაგებდა ფინანსურ საქმეებს. სეფიანთთა სახელმწიფოში მმართველობა ხორციელდებოდა მემკვიდრეობის პრინციპით.

მიწის საკუთრების ფორმები. XVII საუკუნეში აზერბაიჯანში მიწის საკუთრების ფორმებში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა:




XVII საუკუნის მეორე ნახევარში დივანისა და ხალისეს მიწები ძირითად საკუთრების ფორმებად მოგვევლინებოდნენ. შემოსავალი დივნის (სახელმწიფოს) მიწებიდან იხარჯებოდა სახელმწიფო ხარჯების ასანაზღაურებლად.

სოციალური ფენები. ამ ხანაში ფეოდალები რომელნიც შეადგენდნენ მმართველ ფენას იყოფოდა სამ ჯგუფად, პირველ ჯგუფში შედიოდა სამხედრო თავადები, რომელიც ძირითადად შედგებოდა აზერბაიჯანული-ყიზილბაშური ტომებისაგან. ისინი ჯერ კიდევ იკავებდნენ მნიშვნელოვან ადგილს სეფიანთთა სახელმწიფოს მმართველობაში და სოციალურ სისტემაში. მეორე ჯგუფს შეადგენდა უმაღლესი შიიტური სასულიერო პრეზიდენტი, მათ ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე. იგი ითვლებოდა მეორე პირად შაჰის მერე. მსახურები, რომელნიც მუშაობდნენ ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობაში მიეკუთვნებოდნენ სამოქალაქო ფენას. სამოქალაქო ფენის სათავეში იდგა ვაზირი.

XVII საუკუნეში აზერბაიჯანის საზოგადოებაში გლეხლები წარმოადგენდნენ ძირითადი საწარმო ჯგუფს, რომლებიც იყოფოდნენ რამოდენიმე შტოდ.

LAW



სოფლის მოსახლეობის მიერ გადახდილ გადასახადებს -მოსაკრებლებს ეწოდებოდათ საერთო სახელი- **რაიატი**. მოსავლის 1/10 ნაწილის გადასახადს ეწოდებოდა მალჯახათი რომელსაც უხდიდა ფეოდალს, ხოლო 1/5 ნაწილს სახელმწიფოს. წყლის გადასახადს-**ბახრა**. ეს ორი ითვლებოდა ძირითად გადასახადად. არამუსულმანური მოსახლეობა იხდიდა გადასახადს – **ჯიზიას**. უფასო სავალდებულო გლეხის მუშაობა სახელმწიფოსა და ფეოდალის სასარგებლოდ – **ბიარი**.

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხელოსნები და ვაჭრები.



კითხვები და დავალებები

- ვინ იხდიდა თამგას გადასახადს სეფინთთა სახელმწიფოში?
- რომელ ევროპულ ქვეყნებთან ჰქონდა დამყარებული ეკონომიკური კავშირები აზერბაიჯანს?
- რასთან იყო დაკავშირებულ თავრიზის განსაკუთრებული მდგომარეობა სხვა აზერბაიჯანულ ქალაქებს შორის?
- შეადგინეთ სქემა-ცხრილი რომელშიც გამოისახება აზერბაიჯანის გადასახადები XVI საუკუნის მეორე ნახევარი – XVII საუკუნის დასაწყისში.
- შეადგინეთ მოთხოვობა რომელიც დაკავშირებულია ქალაქ თავრისთან და მის ისტორიასთან

5. აზერბაიჯანის საერთაშორისო კავშირები

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგ ევროპულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა განსაკუთრებული გამოცოცხლება. გაიზარდა ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი. ევროპაში აღმოსავლეთის უმდიდრესი რესურსების გადატანის მიზნით იქმნებოდა მსხვილი სავაჭრო კომპანიები. სავაჭრო კომპანიებმა რომლებიც დაფუძნებული იყვნენ ლონდონში, უკვე გააგზავნეს თავისი წარმომადგენლები აღმოსავლეთ ყქვეყნებში. ოსტ-ინდური კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად აზერბაიჯანში ასევე ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვის კომპანიის ვაჭრებიც.



რატომ ჩამოდიოდნენ ევროპელი ვაჭრები აზერბაიჯანში?

რა არის აზერბაიჯანის ეკონომიკური დაცემის მიზეზები XVII საუკუნის ბოლოს?



გზები, რომელსაც მივყავართ აღმოსავლეთში გადიან აზერბაიჯანით. XVI საუკუნეში ინგლისელი ვაჭრები აღწერდნენ არეშს, როგორც მსხვილ აბრეშუმის ცენტრი სამხრეთ კავკასიაში. ვენეციელი მოგზაური ნინა დოი გვამცნობს არეშში თეტრი აბრეშუმის წარმოების შსახებ რომელსაც „მაჰმუდაბადს“ უწოდებდნენ.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში – XVII საუკუნის პირველ ნახევარში საერთაშორისო სავაჭრო გზა გადიოდა ჯულფაზე. ჯულფის ვაჭრებს გამოჰქონდათ აბრეშუმის ნედლეული აზერბაიჯანიდან ევროპაში, ამსტერდამში, მარსელში, ვენეციაში, ასევე თურქეთში, სირიაში და ინდოეთში. ამ ხანაში ორდუბადი, ნახიჩევანი, აილისი თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობებში უცხოურ სახელმწიფოებთან და გადაიქცნენ მნიშვნელოვან სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებად. აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვაში და სახელოსნო პროდუქციაში განსაკუთრებით გამოიჩინდა თავითი. აქ იყო განლაგებული ყველაზე მსხვილი აზიური ბაზარი



ანტონი ჯენკინსონი

LAW



ქარავანსარაის ნანგრევები ყარაბაღში
ურთიერთობები ევროპულ ქვეყნებთან, ინდოეთთან და ჩინეთთან.

XVI საუკუნის შუაში ინგლისის მოსკოვის სავაჭრო კომპანიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მიიღეს რუსეთის მთავრობისგან უფლება სავაჭრო გზების შესწავლისა რომლებიც გადიოდნენ სამხრეთ კავკასიაში, ირანსა და ინდოეთში კასპიის ზღვით, ჩამოვიდნენ აზერბაიჯანში.

მოსკოვის კომპანიის ვაჭარი და მზვერავი ანტონი ჯენკინსონი, რომელიც გაგზავნილი იყო სეფიანთთა სახელმწიფოში, შეხვდა შამახაში შირვანის ბეილარბეგს აბდულა ხან უსტადჯლის. ჯენკინსონმა მიიღო შირვანის ბეილარბეგისგან შეღავათის ბრძანება დაუბრკოლებრივ და განბაჟების გარეშე ვაჭრობაზე. მაგრამ

ინგლისელი ვაჭრების მცდელობა აზერბაიჯანის ბაზარზე დამკვიდრებისა ჩაიშალა. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთის სახელმწიფომ ბრძოლების შდეგად XVII საუკუნეში დაიბყრო პოვოლუიე და კასპიის ზღვის ბასეინი, და არასდროს არ იქნებოდა ამასთან თანახმა. ამის გარდა იმავდროულად რუსი ვაჭრები თვითონ ცდილობდნენ შუამავლობის გაწევას ევროპასა და აღმოსავლეთ შორის. ამიტომაც რუსეთის მთავრობა იცავდა რუსი ვაჭრების ინტერესებს და ბოლო მოუღო ინგლისელების პარპაშს ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზაზე და გაუქმა მათი პრი-



აბასი. ფულის ერთეული
XVII საუკუნეში

ვილეგიები. მაგით **მონოპოლია*** ვაჭრობისა აღმოსავლეთ ქვეყნებთან რუს ვაჭრებს გადაეცა.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან სავაჭრო კავშირები აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის გაძლიერდა. რუსეთიდან აზერბაიჯანში შემოდიოდა ქურქი, ტყავი, სპილენძი, კალა, ქაღალდი და სხვადასხვა საქონელი. აზერბაიჯანიდან რუსეთში გადიოდა აბრეშუმის ქსოვილები, შალისა და აბრეშუმის ხალიჩები. რუსები უყურებდნენ აზერბაიჯანს, როგორც სასარგებლო გასაღების ბაზარს, ძირითად მნიშვნელობას კი შირვანს ანიჭებდნენ.


1767 წელს რუსეთსა და სეფიანთთა სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რუსმა ვაჭრები განთავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან სეფიანთთა მართველობის ბოლომდე. მათ ასევე მიენიჭათ პრივილეგიები ქარავანსარაიებში და ბაზრებზე. ამით რუსეთმა მონოპოლიის უფლება აიღო აზერბაიჯანის აბრეშუმზე ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზებზე დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში.



რა გავლენა მოახდინა საგარეო ვაჭრობაზე შაჰ სულეიმანის ბრძანებამ?



* **მონოპოლია** – განსაკუთრებული უფლება წარმოებაზე ან რაიმეს გასაყიდათ, ასევე რაიმეს განსაკუთრებული მოხმარებისა



შაჰ სულეიმანი იღებს ელჩებს


LAYIH

შაჰ სულეიმანის (1667–1694) ბრძანებით დაევალათ რუს ვაჭრებისადმი პატივისცემა.

მაგრამ სავაჭრო ქარავნები ხშირად იძარცვებოდნენ რუსი კაზაკების მიერ. 1668 წლის ზაფხულში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სტეპან რაზინის ხელმძღვანელობით კაზაკთა ყაჩაღური თავდასხმის დროს მათ მიაღწიეს დერბენტს. მათ გაძარცვეს აზერბაიჯანის კასპიის დასახლებული პუნქტები. რუსეთის მთავრობამ, რომელიც დაინტერესებულ იყო ვოლგა-კასპიის ბასეინში ვაჭრობის განვითარებით, ბოლო მოუღო ამ ყაჩაღურ თავდასხმებს.

ამ ხანაში აზერბაიჯანსა და ინდოეთს შორის გრძელდებოდა ფართო სავაჭრო ურთიერთობები. ინდოელებს აზერბაიჯანში გააჩნდათ თავისი სავაჭრო დასახლებები. აზერბაიჯანიდან ინდოეთში გადიოდა უამრავი აბრეშუმის ნედლეული, აბრეშუმის ქსოვილები, შავი და თეთრი ნავთობი (ნავთი), ზაფრანა. ინდოეთიდან აზერბაიჯანში შემოდოდა სხვადასხვა სახის ტებილეულობა.

ეკონომიკური დაცემა. XVII საუკუნის ბოლოში აზერბაიჯანის ყოველი ეკონომიკური დარგი, კრიზისს განიცდიდა. ეს კრიზისი გამოწვეული იყო შიდა და საგარეო რიგი ფაქტორებისგან. შიდა მიზეზებს განეკუთვნებოდა შემდეგი:



ქარავანსარაი მულთანი იჩერიშეჰერში,
რომელიც ინდოელ ვაჭრებს ეკუთვნოდათ

1. სათესი მიწების შემცირება და მცირე წყალმომარაგება. ამის მიზეზი იყო მიწისქვეშა ქსელების კანალ-კაგრიზების ნგრევა სამხრეთ აზერბაიჯანში.

2. ფულადი კრიზისი. ამ პერიოდში სეფიანთთა სახელმწიფოში მეტალი ნაწილობრივ შემოდიოდა საზღვარგარეთიდან. ძვირფასი მეტალის სიმცირის გამო, იბეჭდებოდა ყალბი ფული. საბოლოოდ ამან შეამცირა სასაქონლო ფულადი ურთიერთობები და მოიტანა ფინანსური გაუგებრობა.

3. ქალაქის ეკონომიკის ვარდა. ამის მიზეზი იყო ქალაქის მოსახლეობის, რომელიც ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდნენ, ქალაქების დატოვება. სახელმწიფომ და ფეოდალებმა ამის შემხედვარე სამჯერ გაზარდეს გადასახადები.

4. კრიზისი სახელმწიფო მმართველობაში. ამის მიზეზი გახდა თანამდებობის პირების მექრთამეობა, რომლებიც სახელმწიფო აპარატში მსახურობდნენ.

სეფიანთთა სახელმწიფოს კრიზისის საგარეო მიზეზები:

1. XVII საუკუნეში საზღვაო გზის გახსნის გამო ინდოეთიდან ევროპაში აზერბაიჯანის მნიშვნელობა აბრეშუმის გზასთან მიმართებაში შემცირდა.

2. ევროპაში გაიზარდა მაღალხარისხიანი და იაფიანი მანუფაქტურის წარმოება, რამაც შეამცირა მოთხოვნილება აზერბაიჯანულ პროდუქციაზე.



კითხვები და დავალებები

1. რატომ არ სურდათ რუს ვაჭრებს ინგლისელი ვაჭრების გაძლიერება აზერბაიჯანში?

2. რას შეგიძლიათ შეადაროთ სტეფან რაზინის ყაჩაღური თავდასხმები?

3. შაჰ სულეიმანის ბრძანებით რომელი ქვეყნის ვაჭრებს ენიჭებოდათ უპირატესობა?

4. იპოვნეთ რუკაზე აზერბაიჯანული ქალაქები, რომლებიც აღნიშნულნი არიან ტექსტში

5. გადაწერეთ რვეულში ცხრილი „სეფიანთთა სახელმწიფოს დაცემის მიზეზები“

შიდა მიზეზები	საგარეო მიზეზები

6. რა იცით თქვენ სტეფან რაზინის ყაჩაღური თავდასხმების შესახებ აზერბაიჯანზე?

6. აზერბაიჯანის XVII საუკუნის კულტურა

ოსმალურ-სეფიანთთა ომებში, რომელნიც მიმდინარეობდა აზერბაიჯანის მიწებზე მძიმე დარტყმა მიაყენეს კულტურულ ცხოვრებას. ბევრი ცნობილი აზერბაიჯანელი მეცნიერი აყვანილი იქნა ტყვედ და წაყვანილი სტამბულში, ზოგი კი გადასახლებული კაზინში და ისფაპანში. სამხედრო-პოლიტიკურმა დაძაბულობამ გამოიწვია მეცნიერებისა და განათლების განვითარების შეფერხება.



როგორ ვითარდებოდა სახელმწიფოში მეცნიერება და კულტურა XVII საუკუნეში?



განათლება. ამ ხანის მეცნიერება და განათლება ისწავლებოდა მექტებებში და მედრესებში, რომელნიც მოქმედებდნენ მეჩეთებში. მცირეწლოვანი ბავშვები სწავლობდნენ ყურანს, ხოლო სწავლის გაგრძელება დაკავშირებული იყო მოსწავლეთა მატერიალურ მდგომარეობასთან. განათლების გასაგრძელებლად უნდა ესწავლათ მედრესები. მედრესები რელიგიურ ცოდნასთან ერთად ასევე ისწავლებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებებიც. იმ დროის მეცნიერები ასწავლიდნენ მედრესებში და ცდილობდნენ ესწავლებინათ მოსწავლეებისათვის მეცნიერების საიდუმლოებები. მოსწავლეებს რომლებიც ამთავრებდნენ მედრესებს ეძღვოდათ დამადასტურებელი დოკუმენტები. სასწავლო დაწესებულებები მდიდრებისათვის და ღარიბებისათვის განსხვავდებოდნენ. განათლების საკითხებს ახუნდები, მოლები და მათი დამხმარეები- ხალიფეები განაგებდნენ. ხალიფეები ირჩეოდნენ მოსწავლეებს შორის დისციპლინის დასამყარებლად. ისინი ინიშნებოდნენ უფროს კლასელებისგან. მასწავლებლებს შორის, რომელნიც მედრესებში ასწავლიდნენ იყვნენ იმ დროის გამოჩენილი მეცნიერები. ზოგიერთმა მასწავლებელმა ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ მასთან სასწავლებლად ჩამოდოდნენ შორეული ქვეყნის სტუდენტებიც. მაგ დროს განათლება ძირითადად ქალაქებში იყო. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა გაუნათლებელი რჩებოდა. სოფლად ძირითადად ერთი სკოლა რამოდენიმე სოფელს ემსახურებოდა.



რაში გამოიხატებოდა იმ დროის რელიგიური მსახურობის წამყვანი ძალა განათლებაში? გამოთქვი შენი აზრი.

განაგებდნენ. ხალიფეები ირჩეოდნენ მოსწავლეებს შორის დისციპლინის დასამყარებლად. ისინი ინიშნებოდნენ უფროს კლასელებისგან. მასწავლებლებს შორის, რომელნიც მედრესებში ასწავლიდნენ იყვნენ იმ დროის გამოჩენილი მეცნიერები. ზოგიერთმა მასწავლებელმა ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ მასთან სასწავლებლად ჩამოდოდნენ შორეული ქვეყნის სტუდენტებიც. მაგ დროს განათლება ძირითადად ქალაქებში იყო. სოფლის მოსახლეობის

უმრავლესობა გაუნათლებელი რჩებოდა. სოფლად ძირითადად ერთი სკოლა რამოდენიმე სოფელს ემსახურებოდა.

მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე თითოეულ სოფელში იყო რამოდენიმე მოლა ან ახუნდი.

მეცნიერება. ამ ხანაში ასევე ვითარდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერებაც. მირზა მუჰამედ შირვანი, რომელმაც დაწერა მნიშვნელოვანი შრომები ასტრონომიასა და მათემატიკაში, შეიტანა დიდი წვლილი XVII საუკუნის აზერბაიჯანის მეცნიერების განვითარებაში. სხვა მეცნიერის იუსიფ ყარაბაღის მოღვაწეობა იყო განათლების მნიშვნელოვანი წყარო. მისი ნაწარმოები შეიცავდნენ საინტერესო ცნობებს ლოდიკაზე, სამართალზე და ასტრონომიაზე.

მუჰამედ ტაირ ვაჰიდის, რომელიც იყო შაჰ აბას II ქამთააღმწერი, და რომელიც ამაღლდა ვაზირის თანამდებობამდე, ნაშრომებში გადმოცემულია უამრავი საინტერესო ისტორიული მასალა იმ დროის აზერბაიჯანზე. მისი ნაწარმოები „თარიხი- ვახიდ“ („აბასნამე“) ასევე უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროა.

XVII საუკუნეში წიგნები მრავლდებოდა მათი ხელით გადაწერის გზით. ამიტომაც დიდი მოთხოვნილება იყო კალიგრაფებში. შაჰ აბას II დროს დიდი ყურადღებით ექცეოდნენ ბიბლიოთეკებს. შაჰ აბას II მმართველობის დროს ევროპიდან ჩამოტანილი იქნა ტიპოგრაფიული საბეჭდი საშუალება წიგნების დასაბეჭდათ. მაგრამ შაჰ აბას II სიკვდილის გამო და შაჰ სულეიმანის გულგრილობის გამო ეს ინიციატივა არ დამთავრდა.

გამოჩენილ მეცნიერტა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მუჰამედ დაუსეინ თავრიზის. მან დატოვა სამშობლო ოსმალების მიერ დაპყრობის გამო და ინდოეთში დასახლდა.

მან თავისი ნაშრომი -ლექსიკონი „ბურკანი-გათე“ დაწერა. ეს დექსიკონი არაერთხელ გადაიბეჭდა ინდოეთსი ირანსა და სხვა მუსუ-

!
ჩაატარეთ
გამოკვლებები
მოამზადეთ
პრეზენტაცია იმ
დროის გამოჩენილ
ინტელიგენციაზე-
მირზა მუჰამედ
შირვანი და მუჰამედ
ტაირ ვაჰიდზე



კალიგრაფის მიერ გადაწერილი წიგნიიქ

ლმანურ ქვეყანაში. აზერბაიჯანელი ფილოსოფოსი იუსიფ მუჰამედჯან ოღლუ ყარაბაღი გადასახლდა ცენტრალურ აზიაში და ცხოვრობდა ჯერ სამარყანდში, შემდეგ კი ბუხარაში. იგი არის არაერთი ნასრომის ავტორი ფილოსოფიასა და სამართალში არაბულ და სპარსულ ენებზე. ყარაბაღის ნასრომებს დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ მედრესეებში, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოებს.



რა ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება
დასტან „ქოროლლის“
სექმნა?

ლიტერატურა და სახალხო ზეპირსიყტყვიერება. გმირული და სასიყვარულო დასტანების დასრულების პროცესი მთავრდება XVI საუკუნის ბოლოს – XVII საუკუნის დასაწყისში. დიდი მოცულობისა და მნიშვნელობის მქონე დასტანი „ქოროლლი“ – არის სახალხო ზეპირსიტყვიერებულის უდიდესი ნაშრომი.


XVII საუკუნეში ბოლომდე ჩამოყალიბდნენ ისეთი დასტანები, როგორიც არიან: „შაჰ ისმაილი“, „აშილ გარიბი“, „აბასი და გიულგეზი“, „ასლი და ქაერიმი“, „ნოვრუზი“. დასტანი „აშილ გარიბი“ მიეკუთვნება ისეთ დასტანთა რიცხვს, რომელთაც გააჩნია სხვადსხვა ვარიაციები (თურქენული, თურქული და სხვა).

XVII საუკუნე არის აშულთა აპოგეიის ხანა. სახალხო პოეზიის გამორჩეული წარმომადგენლის – გურბანის შემდეგ XVII საუკუნეში პოპულარულნი იყვნენ აშულ აბას ტუფარგანლი, სარი აშულ აბდულა. ისინი თვითონ იყვნენ თავისი ნაწარმოებების შემსრულებლები. დასტანი „აბასი და გიულგეზი“ შეიქმნა აშულ აბას ტუფარგანლის ლირიულ – სასიყვარულო ლექსების საფუძველზე. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდნენ მისი გოშმა - ლექსები. სარი ასულიც ლამაზ სასიყვარულო ლექსებს ქმნიდა.

XVII საუკუნის გამორჩენილი აზერბაიჯანული ლიტერატურის წარმომადგენელი იყო საიბ თავრიზი. შაჰ აბას I მმართველობის დროს საიბ

თავრიზი გადასახლებული იყო ისფაჰანში. მან იმოგზაურა ავღანეთში, არაბულ ქვეყნებში და მცირე აზიაში. რამოდენიმე ხანი საიბ თავრიზი ცხოვრობდა ინდოეთში. შაჰ აბას II მიერ თავის სასახლეში მიპატიჟებულ საიბ თავრიზის მიენიჭა წოდება „მელიქ უშ-შუარა“ („მგოსანთა მეფე“). მისი ნაწარმოებების მთავარი თემები იყო ბუნების სილამაზე და საჩივარი დროზე, რომელშიც ცხოვრობდა.

ხელოვნება და არქიტექტურა. XVII საუკუნის ხელოსნების მიერ შექმნილ მხატვრულ ნაქარგ-ნაქსოვებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ნაქსოვებს, რომელთაც



საიბ თავრიზი




მოგვაწოდეთ ცნობები შეჲ ჩას I მმართველობის დროზე. აქვს თუ არა რაიმე კავშირ საიბ თავ-რიზის გადასახლებას ისტორიულ მოვლენებთან?



„უმაღლესი“ და „ოქროს ნაქსოვები“ ეწოდებოდათ. ეს ნაქსოვები მოქსოვილი იყვნენ ოქროსა და ვერცხლის ძაფებით. ამ ნაქსოვების ფასი ძალიან ძვირი იყო, ხშირად ნამდვილ ოქროს ფასსაც კი ეწოდა (მათ შემადგენლობაში 15 % ოქრო შედიოდა). ძაფებს ესეთი ნაქსოვებისათვის ამზადებდა იუველირი. პრნამენტულ ხალიჩებთან ერთად ასევე სიუჟეტურ ხალიჩებსაც ქსოვდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ნადირობისა და სხვა საყოფაცხოვრებო სიუჟეტები.

ამ ხანის შესწავლის დროს აღმოჩენილია უამრავი სამარხის ქვა მორთული ლამაზი ორნამენტებით, აღმოჩენილები აბშერონში, შამახაში, ირევანში, დერბენტში, ნახჩივანში, შექიში, ლენქორანში, განჯაში, გაბალაში, ასევე აღმოჩენილი იყო ცხოველებისა და მფრინველების გამოსახულებები.

მაგის გარდა უამრავი აბანო, ქარავანსარაიები, მეჩეტები ასევე იძლევიან უამრავ ინფორმაციას ამ დროზე. ერთ-ერთ ასეთ ნაგებობას წარმოადგენს ცეცხლთაყვანის მცემლობის ტაძარი სურახანში. ტაძარს დაერქვა „ატეშგიახი“ – ანუ



სარი აშუღის მავზოლეუმი ლაჩინში
(1993 წელს სომებმა ვანდალუბმა გაანადგურეს)

LAW



შაჰ აბასის მეჩეთი განჯაში

„ადგილი ცეცხლის თაყვანისა“. შაჰ აბასის მეჩეთი განჯაში- ფასიანი მეგლი XVII საუკუნის აზერბაიჯანის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ სტილში.

თიხით ნაშენები მეჩეთი ნარდარანში – არის აბშერონის კულტურის არქიტექტურის ერთ-ერთი მარგალიტი. მეჩეთის წარწერებზე იკითხება, რომ მეჩეთი აშენებულია 1663 წელს.



კითხვები და დავალებები

1. განმარტეთ მედრესეს სწავლების თავისებურებანი.
2. XVII საუკუნეში ყველა წიგნი ძვირად იყიდებოდა. რასთან იყო ეს დაკავშირებული? ახსენით თქვენი აზრები.
3. რასთან იყო დაკავშირებული კალიგრაფიის განვითარება ამ პერიოდში?
4. რა იყო აზერბაიჯანში ტიპოგრაფიული მოწყობილობის ჩამოტანის მიზეზი XVII საუკუნეში?
5. მოამზადეთ პრეზენტაცია იმ საუკუნის არქიტექტურულ ძეგლებზე.
6. აშუღურმა ხელოვნებამ XVII საუკუნეში მიაღწია თავის მწვერვალს. დაამტკიცეთ ეს აზრი ფაქტებით.
7. გადაწერეთ რვეუში ცხრილი „აზერბაიჯანის კულტურა XVII საუკუნეში“ და ჩაწერეთ მასში ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურებანი დარგების მიხედვით.

განათლება და მეცნიერება	ლიტერატურა	ხელოვნება და არქიტექტურა

აზერბაიჯანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

II

XVIII საუკუნეში პოლიტიკური სიტუაცია სეფიანთა სახელმწიფოში

XVII საუკუნის ბოლოს სეფიანთა სახელმწიფოში კრიზისი გრძელდებოდა. XVIII საუკუნის დასაქყისში მომხდარმა გვაღვებმა მოსპომთელი მოსავალი და მოიტანა შიმშილი მთელს აზერბაიჯანში, განსაკუთრებით კი შირვანში. ამან გამოიწვია საქონლის გამვირება. ამის მიუხედავად გადასახადები სამჯერ გაიზარდა.



რა გავლენა მოახდინა სეფიანთა სახელმწიფოს შიდა კრიზისმა მის საგარეო მდგომარეობაზე?

რა სახის ზომები მიიღო სეფიანთა შაჰმა ამ კრიზისიდან გამოსახვლელად?



შაჰ სულთან ჰუსეინი (1694–1722), სასახლის თავადები და სახელმწიფო მოხელეები ხედავდნენ ერთადერთ გზად ხაზინის გასავსებად გადასახადების გაზრდაში. ამ მიზნით ისინი „იგონებდნენ“ ახალი სახის გადასახადებს და ამვაცრებდნენ მათ ამოღებას. ხელისუფლებასჩა-მოშორებულმა სუსტი ხასიათის მქონე შაჰ სულთან ჰუსეინმა, საგადასახადო სისტემის „მოწესრიგრბის“ მიზნით დააწესა ყველა 15 წლის მოსახლის აღრიცხვაზე აყვანა.

ყველა მოსახლის ქონების აღრიცხვა ხდებოდა. პირებს, რომელსაც აღრიცხვაზე



შაჰ სულთან ჰუსეინი

LAY-IT

იყვანდნენ ახალ გადასახადს ახდევინებდნენ – აღრიცხვაზე დაყენების საფასურს.



შაჰ სულთან ჰუსეინმა, დაცარიელებული ხაზინის გასავსებად ბრძანა თავისი წინაპრების აკლდამებზე ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნივთების მოხსნა, გადადნობა და ახალი მონეტების მოჭრა.

როგორ შეაფასებთ შაჰ სულთან ჰუსეინს ამ ფაქტის გაფუძველზე?

გლეხებს ახდევინებდნენ გადასახადებს წამების გამოყენებით. შაჰის ხელისუფლების შესუსტებით გამლიერდა ფეოდალებისა და ბეგების დაუმორჩილებლობა.



იმ დროში მცხოვრები ი.გ.გებერი წერდა, რომ შირვანის მმართველები აგზავნიდნენ ხაზინაში იმდენს, რამდენიც საჭირო იყო.

ზოგ შემთხვევაში ბეილარბეგები ზრდიდნენ გადასახადს ცენტრის დაუკითხავად.

ამ ფაქტის საფუძველზე დაასკვენით სეფიანთთა სახელმწიფოს ცენტრალიზებული ხელისუფლების სიძლიერეზე.



რა თავისებურებები ახასიათებს სტიქიურ მოძრაობას?

აჯანყებები აზერბაიჯანში XVIII საუკუნის დასაწყისში. გაუსაძლისმა ფეოდალურმა წნებმა, ისევე როგორც სეფიანთთა სახელმწიფოს სხვა მხარეებში, ასევე აზერბაიჯანშიც გახდა აჯანყების მიზეზი შაჰის მმართველობისა და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ. პირ-

ველი აჯანყება აზერბაიჯანში მოხდა 1707 წელს ჯარა -ბალაქენის ოლქში. მალე აჯანყებულებს შეუერთდა სხვა დასახლებების მოსახლეობა. ეს იყო სტიქიური გლეხთა აჯანქება.

სადამსჯელო რაზმებმა, რომელიც გამოგზავნილი იყო სახელმწიფოს მმართველი ორგანოებიდან, ჩაახშეს აჯანყება, გაძარცვეს და გადაწვეს ჯარის დასახლება.

1709 წელს ჩრდილო აზერბაიჯანში-შირვანში მოხდა კიდევ ერთი შეიარაღებული აჯანყება. 1711 წელს ჯარას მოსახლეობამ კვლავ აიღო იარაღი ხელში. აჯანყებულები დაესხნენ ქალაქ შამახას და გადაწვეს შირვანის ბეილარბეგის საკარმიდან.

ამ პერიოდში შირვანის უდიდეს ნაწილში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება შაჰისა და ფეოდალების წინააღმდეგ.

შირვანის აჯანყება. 1707–1711 წლებში აჯანყებამ შირვანში დიდი არეულობა გამოიწვია ისფაპანში-სეფიანთთა სასახლეში. შირვანის ბეილარბეგი დაიღუპა ბრძოლის ველზე. შაჰ სულთან ჰუსეინმა გააგზავნა ახალი ბეილარბეგი.

1709 წელს ავღანურმა ტომებმა დაიბყრეს განდახარი, რითიც არ მისცეს ცენტრალურ ხელისუფლებას შესაძლებლობა აზერბაიჯანში აჯანყების ჩასახშობად. XVIII საუკუნის დასაწყისში სეფიანთთა სახელმწიფოში შემავალი ყველა რეგიონი ჩაბმული იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. აჯანყება ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ, ასევე მიმართული იყო ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ.

ადგილობრივმა ფეოდალებმა შესძლეს არამხოლოდ დარტყმის არიდება, არამედ რიგ შემთხვევებში პირიქითაც კი. გამოიყენეს სახალხო მოძრაობა თავისი მიზნების მისაღწევად და ხელისუფლებაში მოსასვლელად. ასევე მოხდა შირვანშიც. შირვანის აჯანყებას ხელმაძღვანელობდა სასულიერო პირი ჰაჯი დაუდი. თავისი ტალანტის დამსახურებით ჰაჯი დაუდმა მოიხვეჭა ავტორიტეტი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში.

1719 წლის ბოლოს სეფიანთთა ჯარებმა შესძლეს აჯანყების ჩახშობა შირვანში. ჰაჯი დაუდი ჩასვეს დერბენტის ციხეში. ჰაჯი დაუდის




ჰაჯი დაუდი



ახსენით შირვანის აჯანყებულების ცენტრად გადაქცევის მიზეზები.

LAWYER



ფიტგა* ჰაჯი დავუდისა.
დოკუმენტი



რა გავლენა შეეძლო
მოქმდინა აჯანყებუ-
ლების ხელმძღვანე-
ლებზე ადგილობ-
რივ ფეოდალებსა და
მთავარ სასულიერო
პირებს

უახლოვესი თანამოაზრე
სურხაი ხან კაზიკუმუხელი
გაიქცა დაღესტანში და ასე
გადარჩა. მოგვიანებით, იგი
შეპირდა შაჰს ერთგულებას,
მიიღო წოდება იუსბაში (ასე-
ულის უფროსი) და გახდა
შაჰის ერთ-ერთი ერთგული
პიროვნება დაღესტანში.

XVIII საუკუნის 20-იან
წლებში სეფიანთა სახელმ-
წიფოში დაიწყო ყველაზე
რთული კრიზისი. აჯანყე-
ბული ავღანელები ნელ-ნელა
იბყრობდნენ თითო-თითო
ოლქს და უახლოვდებოდნენ
დედაქალაქს-ისფაჰანს. ისფ-
აჰანის ალქის დროს ერთ-
ერთი პრინცი თავის
ტანამზრახველებთან ერთად
გაიქცა ჩრდილოეთ ილქში,

სადაც თავი შაჰ თავმასიბ

II გამოაცხადა. ქვეყნის ყველა ნაწილში დაიყო
აჯანყებები. განმანთავისუფლებელი ბრძოლა
აზერბაიჯანში, განსაკუთრებით კი შირვანში,
ახალი ძალით გაღვივდა. ცენტრალური ხელის-
უფლების დასუსტებით ისარგებლა ჰაჯი დაუ-
დმა, გაიქცა ციხიდან და კვლავ სათავეში ჩაუდგა
შირვანის აჯანყებულებს. მან შესმლო თავის
მხარეზე გადაეყვანა სურხაი ხან კაზიკუმუხელი
თავისი დაქირავებული ჯარით.



* ფიტგა – ნებართვა, რომელსაც იძლევა უფროსი სასულიერო პირი
ან მმართველი რაიმე მოქმედების შესასრულებლად.

ამჯერად ჰაჯი დაუდმა დაისახა უფრო კონკრეტული მიზანი: ხელისუფლების ხელში ცაგდება შირვანში და დამოუკიდებელი სახლემწიფოს შექმნა. ამ მიზნით ჰაჯი დაუდმა მიმართა რუსეთის სახელმწიფოს და მოითხოვა დახმარება. მაგრამ ჰაჯი დაუდის გეგმები არ ემთხვეოდა რუსეთისას.

ჰაჯი დაუდმა სურხაი ხან კაზიკუმუხელის ჯართან და აჯანყებულებთან ერთად აღყაშემოარტყა სეფიანთთა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს შირვანში- ქალაქ შამახას. 1721 წელს აჯანყებულებმა დაიბყრეს და გაზარცვეს ქალაქი.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აზერბაიჯანის აჯანყებას, როგორც ბევრი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ფეოდალიზმის ხანაში ხდებოდა გააჩნდა თავისი წინააღმდეგობები.

სტიქიური სახალხო აჯანყებები ხშირად ყაჩაღობით, ფეოდალების საკარმიდამოების გაძარცვითა და გადაწვით მთავრედებოდა. ამით იხსნება ის ფაქტი, რომ შამახის აღების დროს გაძარცვული იყო უმდიდრესი ბაზარი, ქარავან სარაი, უცხოელი ვაჭრების საქონელი, მათ შორის რუსი ვაჭრებისა, რამოდენიმე რუბლის ღირებულების.

ჰაჯი დაუდმა შამახის აღების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება გაგრძელებინა თავისი ლაშქრობა. მაგრამ, დერბენტისა და ბაქოს ციხეების აღების მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. ჰაჯი დაუდის ჯარმა აღყაშებულება განჯას, მაგ ოსმალეთის სახელმწიფოს, დამორჩილებას.

ოსმალეთის სულთანის მიერ დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ჰაჯი დაუდი შამახაში დაბრუნებისთანავე გახდა შირვანის მმართველი.



გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება სურპაი ხანის მიერ თავისი პოზიციების შეცვლისადმი



როგორ აფასებთ ჰაჯი დაუდის სურვილს შირვანში დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით



რა გავლენას იქონიებდა ჰაჯი დაუდის მიერ ქალაქ შამახას აღება აჯანყების მსვლელობაზე?



რატომ უპასუხა ოსმალეთის სულთანმა დადებითად ჰაჯი დაუდის მიმართვას?

LAYTA



კითხვები და დავალებები

1. გაანალიზე კრიზისის მიზეზები, რომელიც სეფიანთთა სახლე-მწიფოში იყო XVIII საუკუნის დასაწყისში, გადახატე ცხრილი რვეულში და შეავსე

პოლიტიკური მიზეზები	ეკონომიკური მიზეზები	სოციალური მიზეზები


2. ჩამოთვალე ფაქტორები, რომელმაც გააუარესა მდგომარეობა სეფიანთა სახელმწიფოში XVIII საუკუნის დასაწყისში

3. აზერბაიჯანის რომელ ოლქებში მოხდა სახალხო აჯანყება სეფიანთა წინააღმდეგ XVIII საუკუნის დასაწყისში?

4. აღნიშნეთ ჰაჯი დაუდის მახასიათებელი ნიშნები, როგორც აჯანყების უფროსისა

5. რა ნაბიჯები მიიღო ჰაჯი დაუდმა დახმარების მისაღებად მეზობელი ქვეყნებისაგან? თქვენ როგორ აფასებთ ამ მოქმედებებს?

6. განსაზღვრეთ ისტორიული მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.



LASYIH

8. რუსეთი ემზადება კასპიის ზღვის ბასეინის დასალაშქრად

აზერბაიჯანი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, ნედლუულის რესურსებით, ასევე ხელსაყრელი სტრატეგიული გეოგრაფიული მდგომარეობით რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში იპყრობდა რუსეთის იმპერიის უკრადღებას. XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთის სახელმწიფო, რომელიც გადაიქცა ძლიერ იმპერიად, ახორციელებდა წარუმატებელ ომს ოსმალეთის იმპერიასთან და 1711 წელს პრუტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ უარი განაცხადა აუსრულებელ ოცნებაზე, მიეღო გასასვლელი შავ ზღვაზე, ყველა თავისი ოცნებები და იმედები დაამყარა კასპიის ზღვის ბასეინზე.



რა გეგმებს ისახავდა რუსეთის სახელმწიფო, კასპიის ზღვასთან დაკავშირებით?

რა მოიმოქმედა რუსმა მეფემ ამ გეგმების შესასრულებლად?



სეფიანთთა სახელმწიფოსთვის რთულ დღებში, შაჰ სულთან ჰუსეინმა გადაწყვიტა დაახლოვება რუსეთის სახელმწიფოსთან. ამ მიზნით 1713 წელს მან გააგზავნა პეტერბურგში დელეგაცია „მეგობრულ და სავაჭრო“ ხელშეკრულების დასადებად. სეფიანთთა სახელმწიფოს მიმართვა რუსეთისადმი დაემთხვა პეტრე I დამპყრობელ პოლიტიკას აღმოსავლეთში. ამ წლებში რუსეთის სახელმწიფო ომობდა შვედეთთან. ამ პირობებში მეფე, რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა დაელაშქრა სამხრეთი, ატარებდა დაზვერვითი ხასიათის ზომებს.

კასპიის ზღვის დასავლეთი ნაპირების დასაზღვერთ და შესასწავლად პეტრე I -მა სეფიანთთა სახელმწიფოში გააგზავნა თავისი მეგობარი-არტემი ვოლინსკი.

არტემი ვოლინსკის, რომელიც გაგაზავნილი იქნა ისფაპიტი ელჩის სახით, იმავ დროულად პეტრე I-მა საიდუმლო დავალებაც მისცა. ამ



რა შესაძლებლობას მისცემდა რუსეთს შვედებზე ომში გამარჯვება?



რატომ უნდოდა პეტრე I, რომ რუსეთის სახელმწიფოს ჰქონდა გასასვლელი, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ზღვებზე?

LAW



არტემი ვოლონსკი



რატომ სახლდებოდნენ
რუსი ვაჭრები ძირი-
თადათ შირვანში?



რასთან იყო დაკავშირ-
ებული პეტრე I -ის
დავალება კასპიის
ზღვის ტოპგრაფიული
რუკის შემნა? რა დადე-
ბითი და უარყოფითი
მხარეები ჰქონდა ამ
ჩანაფიქრს აზერბაიჯა-
ნისათვის?

დავალების მიხედვით რუსეთის სახელმ-
წიფო ელჩს უნდა შეესწავლა საქარავნო
გზები, მასზე არსებული სამოვრები (ეს
საჭირო იყო ცხენოსანთა ჯარისათვის), თავდაცვითი მოწყობილობების და ჯარ-
ების რაოდენობა, დაემყარებინა ურთიე-
რობა იქაურ ქრისტიანებთან. არტემი
ვოლინსკის ასევე დაევალა მდგომარეობის
შესწავლა რუსი ვაჭრების სასარგებლოდ.
არტემი ვოლინსკი ასრულებდა პეტრე
I დავალებას, აგროვებდა იმფორმაციას
რუსეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ.
მან ასევე დაარეგულირა სავაჭრო ურთ-
იერთობები რუსი ვაჭრებისათვის, რომე-
ლნიც უკვე შამახაში დამკვიდრდნენ.

ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც მიიღო
პეტრე I-მა, მდგომარეობდა დეტალურ შესწავ-
ლაში, ტოპგრაფიული თვალსაზრისით, კას-
პიის ზღვის დასავლეთ ნაპირებისა. ამ მიზნით
მან გააგზავნა კასპიის ზღვაზე ექსპედიცია. ექსპ-
ედიციამ დეტალურად შეისწავლა კასპიის ზღვა,
მისი დასავლეთ სანაპირო, შეისწავლა ჩაღრმა-
ვებები, წყლის დინებების მიმართულებები, პორ-
ტები, წყლისქვეშა კლდეები და დეტალურად
გადაიტანა რუკაზე.

კიდევ ერთ ნაბიჯად, რაც მოიმოქმედა პეტრე
I -მა, სამხედრო ლაშქრობის დაწყებამდე, იყო
ინიციატივა რუსული საელჩოს გახსნისა შირვა-
ნში. მაგრამ შაპის მთავრობამ კატეგორიული უარი
განაცხადა. დიდი კამათისა და ფიქრის შემდეგ,

რუსი ვაჭრების უმრავლესობის ინტერესე-
ბისა და მოთხოვნების გათვალისწინებით მაინც
გადაწყდა შამახაში რუსული საკოსულოს გახსნა

„შამახის ექსპედიცია“.

მოლაპარაკებები, რომელიც სტამბულში მიმდინარეობდა ჰაჯი

დაუდსა და ოსმალეთის სულთან ახმედ III


შორის, გაამძაფრა პეტრე I ყურადღება. ოსმალეთის ჯარის შეყვანით
სერიოზული საფრთხე ადგებოდა რუსეთის სამხრეთის საზღვრებს. ამას
ასევე შეეძლო მძიმე დარტყმა მიეყენებინა აღმოსავლურ ვაჭრობაზეც.
ყველაუერმა ამან პეტრე I დააჩქარებინა ლაშქრობის ორგანიზება კასპიის
ზღვის ბასეინში.



ბაქოს ყურეში ექსპედიციის წევრებმა გამოიკვლიეს სამი კუნძული. ორი კუნძული თავისი ფორმებით მიემსგავსებოდა ბალტიის ზღვაში განლაგებულ, რეველის მახლობლად, ორ კუნძულს-ნარგისს და ვულფს. ამიტომაც ექსპედიციამ რუკაზე დაიტანა ეს კუნძულები სახელწოდებებით „ნარგინი“ და „ვულფი“. მესამე კუნძულს მათ დაარქვეს „პესანი“. კასპიის ზღვის ნაპირების შესწავლის შემდეგ ექსპედიცია გაემართა სამხრეთის მიმართულებით და დამატებით დაიტანა რუკაზე ზღვის ნაპირები ასტრაბადის ყურემდე.

ამიტომაც პეტრე I-მა განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ შირვანში, შაჰის დასახმარებლად, რომელთანაც იგი მეგობრულ ურთიერთობებში იმყოფებოდა, გადაწყვიტა რუსული ჯარის შეყვანა შირვანში.

რუსეთის იმპერატორის აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი და საგანგებო ადგილი ეკავა. ჯერ კიდევ შირვანის აჯანყებამდე პეტერბუგში, დოკუმენტებში, რომელიც შედგენილი იყო შემდგომ ლაშქრობასთან დაკავშირებით, ამ ლაშქრობას



კასპიის ზღვის რუკა, პეტრე I დავალებით შედგენილი




დაახასიათედ ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობდა და ხელს უშლიდა რუსეთს თავისი გეგმების განსახორციელებლად სამხრეთ კავკასიაში

ეწოდებოდა „შამახას ექსპედიცია“. შირვანის აჯანყების ჩახშობის შემდეგ პეტრე I იძულებული გახდა შეცვალა, როგორც ლაშქრობის დასახელება, ასევე მისი მიმართულებაც. პეტრ I ეშინოდა, რომ ოსმალეთის იმპერია, გამოიყენებდა რა სეფიანთთა სახელმწიფოს ცენტრალური ხელის-უფლების დასუსტებას, შემოიყვანდა ჯარს სამხრეთ კავკასიაში და დაიბყრობდა ადგილებს, რითიც ხელს შეუშლიდა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის განხორციელებას, ამიტომაც მას აღარ შეეძლო ლაშქრობის გადადება.

ამ დროს სეფიანთთა დედაქალაქი სფაჰანი ალყა შემორტყმული იყო ავღანური ტომებით. პეტერბურგში ეშინოდათ, რომ ოსმალეთის სახელმწიფო გამოიყენებდა ამ ვითარებას და დაიბყრობდა კასპიისპირეთის ოლქების რუსეთზე ადრე. იქამდე სანამ პეტრე I გადადგამდა გადამწყვეტ ნაბიჯს, იმისათვის რომ გაემართლებინა თავისი ლაშქრობის მიზეზი კასპიის პროვინციების მაცხოვრებლებთან,

1722 წელს გამოაქვეყნა „მანიფესტი“, რომელიც გააგზავნა ქალაქებში და სოფლებში რუსული ჯარის სვლის მიმართულებით. „მანიფესტში“ იმალებოდა ლაშქრობის ძირითადი მიზეზი და აღნიშნული იყო, რომ რუსული ჯარის ლაშქრობა- არის შურისძიების აქცია რუსი ვაჭრების მოკვლისათვის, რომელიც მოკლულნი და გაძარცვულნი იყვნენ სახალხო აჯანყების დროს შამახაში, განსაკუთრებით კი ჰაჯი დაუდისა და სურხაი ხანის, რომლებმაც სეფიანთთა შაჰის საწინააღმდეგოდ - რუსეთის სახელმწიფოს მეგობრის წინააღმდეგ ატეხეს ამბოხი. „მანიფესტში“ პეტრე



პეტრე I „მანიფესტი“


I შეპირდა ადგილობრივ მოსახლეობას კეთილდღეობასა და სიწყნარეს. „მანიფესტი“ დაბეჭდილი იყო ასევე აზერბაიჯანულ ენაზეც. ზოგიერთი ფეოდალი, რომლებსაც ეშინოდათ თავისი ქონებისა და მდგომარეობის დაკარგვისა, მიებყრო პეტრე I მანიფესტს დადებითად.

პეტრე I პოლიტიკის ყველაზე საშიში მხარე ჩვენი სამშობლოსადმი იყო ის, რომ მან მისცა მითითება სომხების გადმოსახლებისა ოსმალეთის სახელმწიფოდან და აზერბაიჯანულ მიწებზე მათი დასახლებისა. გენოციდის აქტების საფუძველი და არსი, რომელიც სომხებმა მოაწყეს ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, სინამდვილეში ჩაიყარა ჯერ კიდევ იმ დროს



კითხვები და დავალებები

1. რასთან იყო დაკავშირებული რუსეთის გეგმები აზერბაიჯანის მიმართ XVIII საუკუნის დასაწყისში?
2. რა გახდა საფუძველი პეტრე I მიერ კასპიისპირეთის ოლქების დაბყრობისა?
3. რა იყო პეტრე I მიერ აზერბაიჯანულ ენაზე მანიფესტის გამოცემის მიზანი?
4. დააკონვენტირეთ დიპლომატიური ურთიერთობები, რომელსაც პეტრე I ანხორციელებდა კასპიისპირეთის ოლქებზე ლაშქრობის წინ.
5. რაში მდგომარეობდა მთავარი საშიშროება პეტრე I მიერ განხორციელებული პოლიტიკისა აზერბაიჯანისათვის?
6. განსაზღვრეთ ისტორიული მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.



LAYIH

9. აზერბაიჯანის მიწების განაწილება ორ სახელმწიფოს შორის

1722 წლის 18 ივნისს პეტრე I დაიწყო თავისი ლაშქრობა. ასტრი ის ორი მიმართულებით გამოემგზავრა: საზღვაო და სახმელეთო გზებით. დასუსტებულმა სეფიანთთა ჯარმა ვერ შესძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა რუსული ჯარისადმი, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოიჭრა. მოსახლეობამ, რომელმაც დაუჯერა პეტრე I მანიფესტს წინააღმდეგობა არ გაუწია რუსულ ჯარს. მაგრამ ერთი ძალა მაინც იყო რომელსაც შეძლო რუსეთის გეგმების ჩაშლა-ოსმალეთის სახელმწიფო.



რომელი ქალაქების დაბყრობით იყო დაინტერესებული პეტრე I?

როგორ შეუშალა ოსმალეთის სახელმწიფომ რუსული გეგმების განხორციელებას?



რუსული დამპყრობლური ლაშქრობა კასპიისპირეთის ოლქებში . 1722 წლის 23 აგვისტოს რუსული ჯარი შევიდა ქალაქ დერბენტში. გზათ მათ არ შეხვედრიათ არანაირი წინააღმდეგობა. ქალაქის ნაიბი იმამგულუმ თავისი თანადებობის შენარჩუნების მიზნით გადასცა პეტრე I ქალაქ დერბენტის ვერცხლის გასაღები. ქალაქში ასევე რუსეთის მოწინააღმდეგებიც იყვნენ. მათ გამოიმუშავეს პეტრე I მკვლელობის გეგმა, მაგრამ შეთქმულება გახსნილი იყო- უფროსები დაპატიმრებულები.

დერბენტის აღების შედეგ პეტრე I -მა მისცა განკარგულება თავის მხედართმთავარს ბაქოზე მოძრაობის გაგრძელებისა. ლაშქრობამდე იმპერატორმა გააგზავნა ბაქოში თავისი წარმომადგენელი და მოსთხოვა

ბაქოს მმართველს მუჰამედჰუსეინ ხანს დამორჩილება. ბაქოს მმართველმა შატყობინა პეტრე I რომ არ შეუშვებდა რუსულ ჯარს ბაქოს ციხეში. 30 აგვისტოს რუსეთის ჯარი დაიძრა დერბენტიდან ბაქოს მიმართულებით. შუა გზაში პეტრე I მოუწია ლაშქრობის შეჩერება და უკან დაბრუნება. ეს იყო დაკავშირებული რამოდენიმე მიზეზთან.



რასთან იყო დაკავშირებული მორიოუსული განწყობილებები კასპიისპირეთის როქებში პირველ სანებში.

პეტრე I ლაშქრობა კასპიისპერეთის ოლქებში

- ❖ ციხები, რომელიც ბიც ოსმალებმა დაბყრეს
- ❖ ციხები, რომლებიც რუსებმა დაბყრეს
- ოსმალეთის ჯარის ლაშქრობები
- რუსეთის ჯარის ლაშქრობები


გვჩვენეთ რუკაზე
ქალაქები, რომელიც რუსულმა
ჯარმა დაიბყრო



შტორმის დროს კასპიის ხღლვაზე რუსეთის გემების უმრავლესობა რუს ჯარისკაცებთან და ტყვეთა-წმალთან ერთად ჩაიძირნენ. ამის გარდა პეტრე I მოახსენეს, რომ შვედეთი კვლავ ემზადება რუსეთთან ომისათვის . ოსმალეთის პროტესტმაც დიდი როლი ითამაშა პეტრე I რუსეთში დაბრუნებაზე.

პეტრე I რუსეთში
დაბრუნების შემდგომ,
ოსმალეთის სულთანმა
ჰაჯი დაუდს ხანის ტი-
ტული უბოძა და აღია-
რა იგი შირვანისა და
დაღესტანის მმართვე-
ლად.

1722 წელს იმის
მიუხედავად, რომ რუ-
სეთის ჯარმა ვერ დაი-
ბყრო ბაქო და შამახა,
პეტრე I მაინც კამაყო-
ფილი იყო ლაშქრობის
შედეგებით. რუსეთის
იმპერატორს აკმაყოფი-
ლებდა ერთი გოჯი მი-
ცაც კი ამ ადგილებში.



პეტრე I დერბენტში



ბაქოს აღების გეგმა, რუსების მიერ შედგენილი

ბაქოს დაბყრობა. პეტრე I- მა რუსეთში დაბრუნებისას არ მიატოვა თავისი დამცურობლური იდეები აზერბაიჯანის მიმართ. ამ აზრებში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბაქოს ციხის აღება, რომელსაც გააჩნდა დიდი სამხედრო – სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა. იმპერატორმა თვითონ შეიმუშავა ბაქოს აღების გეგმა.

იმ დროს, სანამ მზადდებოდა ბაქოს საზღვაო გზით აღების გეგმა, ავღანელებმა დაიწყეს სეფიანთთა სახელმწიფოს ქალაქებზე თავდასხმები. გილანის პროვინცია ასევე იმყოფებოდა საშიშროების ქვეშ. პეტრე I სურდა გილანის დაბყრობა. მან გასცა ბრძანება, რომ რუსულ გემებს დაუყოვნებლივ გაეცურათ გილანის მიმართულებით.

1722 წლის დეკემბერში, რუსულმა ფლოტმა დაიბყრო ქალაქი რეშტი.

ოსმალეთის იმპერიამ ისარგებლა სეფიანთთა დასუსტებით და ასევე შემოიყვანა ჯარები სამხრეთ კავკასიაში. ოსმალეთის ამ ნაბიჯის გადადგმაში დიდი წვლილი მიუძღვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ძირითადად ინგლისს.

ოსმალების მიერ სამხრეთ კავკასიის დაბყრობის საშიშროებამ, დააჩქარებინა პეტრე I ბაქოს აღება.

1723 წელს რუსული ფლოტი შევიდა ბაქოს პორტში. სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბაქოს გარნიზონმა ვერ შესძლო მტრის შეჩერება, რომელსაც გააჩნდა მრავალრიცხოვანი ჯარი და სამხედრო ტექნიკა.

ბაქოს ციხის აღების შემდეგ შექმნილი იქნა ადმინისტრაციული ხელისუფლება-კომენდანტური * მმართველობა. ბაქოს შემდეგ რუსებმა ადვილად დაიბყრეს სალიანი

იმის შემდეგ რაც რუსეთმა დაიბყრო კასპიის პროვინციის ნაწილი, პეტრე I შესთავაზა სეფიანთთა სახელმწიფოს დაედო ხელშეკრულება რუსეთისათვის დერბენტიდან გილანამდე მიწების გადაცემაზე. 1723 წლის 12 სექტემბერს პეტრებურგში დადებული იქნა ხელშეკრულება სეფიანთთა სახელმწიფოსა და რუსეთს შორის. სანაცვლოდ რუსეთმა აიღო ვალდებულება გაეწია სამხედრო დახმარება სეფიანთთა შახისათვის მისი ხელისუფლების დასაცავად. მაგრამ ეს ხელშეკრულება არ იყო დამტკიცებული შაჰ თახმასიბ II მიერ. ასე რომ 1722–1723 წლებში რუსეთმა დაიბყრო აზერბაიჯანის მიწები.



როგორ ფიქრობთ, შეას-რულა თუ არა რუსეთმა პეტრე I „მანიფესტი“ – ს პირობები?



* კომენდანტურა – რუს ოკუპანტთთა მმართველობის ორგანო, რომელსაც გააჩნდა ფართო უფლებამოსილება.

LAWITH



მონეტა, რომელიც დაიბეჭდა
რუსეთის ლაშქრობის აღსანიშნავად
აზერბაიჯანის მიწებზე

ობილ ტერიტორებზე. რუსეთის მხარე დაეთანხმა ოსმალეთის იმპერიის მიერ დასავლეთ კავკასიისა და სამხრეთ აზერბაიჯანის მითვისებაზე. სტამბული ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთს არ ჰქონდათ უფლება შირვანში ჯარის ყოლისა. შირვანი ცხადდებოდა ნახევრად დამოუკიდებელ სახანოდ ოსმალეთის მფარველობის ქვეშ. ხელშეკრულების დადგების გამო აცილებული იქნა რუსულ-ოსმალური ომი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.



როგორ ფიქრობთ, რასთან
იყო დაკავშირებული აზე-
რბაიჯანული ქლაქების,
ოსმალებზე გადაცემა წინ-
ააღმდეგობის გაწევის გარ-
ეშე?

დაიბერეს ქალაქები ნახიჩევანი და ორდუბადი. ბორჩალომ და ყაზახმა თავისი ნებით მიიღეს ოსმალეთის მმართველობა. 1725 წლის მაისში კვლავ განხილდა ბრძოლები თავრიზისათვის. ოსმალები მიუახლოვდნენ ქალაქს და დაიბერეს ის.


1724 წლის სტამბულის ხელ-შეკრულება. ამ დროს ოსმალეთის ჯარი შევიდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და იძროდა აღ-მოსავლეთის მიმართულებით. კასპიის პროვინციებში განლა-გებული იყო, რუსული ჯარი. ეს ქმნიდა შჯახების საშიშროებას. მაგრამ რუსეთმა, რომელსაც არ სურდა თურქებთან ომი, შესთ-ავაზა ოსმალეთის იმპერიას ხელშეკრულება, აზერბაიჯანის მიწების გაყოფაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად 1724 წლის ივნისს სტამბულში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუს-ეთთან. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთის მხარემ დაამტკიცა რუსეთის მმართველობა დაბყრ-

ებილ ტერიტორიაზე.

სტამბულის ხელშეკრულების შემდეგ, ოსმალეთის სახელმწიფომ შემოიყვანა თა-ვისი ჯარი სამხრეთ კავკასიაში. 1724 წელს ოსმალეთის ჯარმა დაიბყრო ქლაქი ირევანი, გააგრძელა მოძრაობა სამხრეთ აზერბაიჯა-ნისკე. დაიბყრო ქალაქები ჰოი და მარანდი, ჯარი თავრიზს მიუახლოვდა, მაგრამ თავ-რიზელებისგან დახვდათ სერიოზული წინააღმდეგობა და იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ამის შემდეგ ოსმალებმა

1725 წლის ბოლოდან ოსმალეთის ჯარიკაცებმა შესძლეს აზერბაიჯანის ბოლო ქალაქის -არდე-ბილის აღება. არდებილის აღება სტამბულში აღნიშნეს ფეიერვერკებით.

სტამბულის ხელშეკრულების საფუძველზე, აზერბაიჯანის უდუდესი ნაწილი გადავიდა ოსმალეთის მმართველობის ქვეშ. აზერბაიჯანის კასპიისპირეთის ოლქები კი დარჩა რუსეთის სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ.



აზერბაიჯანული მიწები, რომელიც დაიბყრო რუსეთმა 1723 წლის პეტერბურგის ხელშეკრულების საფუძველზე.
ტერიტორიები, რომელიც დაიბყრო ოსმალეთის სახელმწიფომ 1723-1725 წწ.

აზერბაიჯანული მიწები, რომლებიც რუსეთისა


და ოსმალეთის სახელმწიფოების

მმართველობის ქვეშ იყო



კითხვები და დავალებები

1. რატომ გახდა იძულებული პეტრე I შეეწყვიტა თავისი ლაშქრობა?
2. როგორ აფასებთ ოსმალეთის მიერ აზერბაიჯანის მიწების მითვისებას?
3. შეადარეთ პეტერბურგისა და სტამბულის ხელშეკრულება.
4. რა მნიშვნელობა გააჩნდა პეტერბურგისა და სტამბულის ხელშეკრულებებს აზერბაიჯანისათვის?
5. განსაზღვრეთ ისტორიული მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.



10. აზერბაიჯანი რუსეთისა და ოსმალეთის მმართველობაში

1722–1724 რუსეთის იმპერიამ განახორციელა რიგი სამხედრო მოქმედება. ამის შედეგად მან მოიპოვა შესაძლებლობა დერბენტის გასავლელი და რიგი კასპიის პორტებისა. აზერბაიჯანის სხვა მიწები კი ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.



აზერბაიჯანის კიდევ რა სიმდიდრეები
აინტერესებდა პეტრე I?
რითო განსხვავდებოდა ოსმალეთის
პოლიტიკა რუსების პოლიტიკისაგან?



რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა კასპიისპირეთში. რუსეთის იმპერიამ აზერბაიჯანის მიწების როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო – სტრატეგიულ და პოლიტიკურ გამოსაყენებლად კასპიაზე, მიიღო გარკვეული ზომები. რუსეთს ძირითადად აინტერესებდა აბშერონის ნავთობი, პირველ რიგში კი „თეთრი ნავთობი“ – ნავთი. ბაქოს აღებიდან ორი თვის შემდეგ უფროსობის მიერ შედგენილი იქნა სპეციალური დოკუმენტი – „რეესტრი“*. ამ დოკუმენტი შეტანილი იყო ნავთობის ჭაბურღილებიდან მოპოვების რაოდენობა, როგორც თეთრი ასევე შავი ნავთობისა, მისი ფასები, ტრანსპორტირების მარშრუტები და შესაძლებლობები.

რუსეთის განვითარებადი მრეწველობისათვის ნავთობის გარდა, ასევე სხვა სახის ნედლეულებიც საჭირო იყო. რუსეთის მმართველ წრეებს ძირითადად აინტერესებდათ აბრეშუმის ნედლეული, მატყლი, ბუნებრივი საღებავები, სამშენებლო მასალები, მეტალები და სხვა.



* რეესტრი – აღწერა, აღრიცხვაზე აყვანა, რაოდე დოკუმენტაციის სისტემატიზაცია



როგორ არის დაკავშირებული ზომები, რომელიც გაყავდა პეტრე პირველს რუსეთში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან აზერბაიჯანში?

ამასთან დაკავშირებით მზადდებოდა სპეციალური ზომები აზერ-ბაიჯანის ბუნებრივი რესურსების რუსეთში გასატანად. პეტრე I გამოსცა ბრძანება, რამოდენიმე კულტურის გადმორებაზე აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობიდან და მათი რუსეთის დამკვიდრების თაობაზე.



პეტრე I ხელი მოაწერა აბრეშუმის წარმოების გახსნაზე უკრაინასა და ასტრახანში. ეს დარგი ისეთი მნიშვნელოვანი იყო პეტრე I, რომ მან გამოსცა ბრძანება ყველა იმის სიკვდილიტ დასჯაზე, ვინც კი თუთის ხეს მოჭრიდა. სამწუხაროდ ჩრდილოების ცივი კლიმატი ხელს არ უწყობდა აბრეშუმის განვითარებას. ამის სემდეგ რუსმა ვაჭრებმა დაიწყეს აბრეშუმის წარმოების განვითარება აზერბაიჯანის ტერიტორიებზე.

რატომ ანიჭებდა პეტრე I აბრეშუმის საქმეს ასეთ დიდ მნიშვნელობას?

პეტრე I აპირებდა შირვანის აბრეშუმის ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ჰოლანდიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და პოლონეთში.

თავისი მდგომარეობის გასაძლიერებლად, რუსეთმა გადაწყვიტა აქ ციხე-სიმაგრეების აგება. რუსმა სპეციალისტებმა ჩაატარეს ღონისძიებები მეთევზეობის გასანვითარებლად მტკვარზე და კასპიის ზღვაზე. ეკონო-მიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად სხვა სამხრეთის ქვეყნებთან რუსეთმა გადაწყვიტა კასპიის ზღვაზე ასეთივე ქალაქის აშენება, როგორიც პეტერბურგი იყო. რუსეთი ცდილობდა გამოეყენებინა ნებისმიერი საშუალებები ეკონომიკური განვითარებისათვის და აზერბაიჯანში დამკვიდრებისათვის.

ბაქოს აღების შემდეგ აქ შეიქმნა კომენდანტური მმართველობა. რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნულმა ბაქოს კომენდანტმა ბურიატინმა ექსპროპრიაცია (ამოღება) მოახდინა ნავთობის ჭაბურღლილებისა. ამას მოყოლილი აჯანყება ცაბშული იყო.

რუსული კომენდატურის შექმნა იყო სომხებისათვის დიდი მიღწევა, ვინაიდანაც მთ სურდათ ბაქოში ჩასახლება. პეტრე I იღებდა სომხებისაგან წერილებს თხოვნით ჩაესახლებინათ ისინი „ახლად



როგორ აფასებთ რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას კასპიისპირეთში?

LAWYER

შეძენილ მიწებზე“. პეტრე I გეგმები ემთხვეოდა სომხების პოლიტიკას აზერბაიჯანის მიმართ. სომხებისათვის ნებართვის მიცემა ჩასახლებაზე ორმაგ სასურველშედეგს აძლევდა პეტრე I: პირველი მდგომარეობდა იმაში, რომ აქ გაჩნდებოდა ქრისტიანული „სანდო“ მოსახლეობა, მეორე კი იმაში მდგომარეობდა, რომ სომხები მოეხმარებოდნენ რუსებს ვაჭრ ობაში.



1724 წლის 14 ნოემბერს პეტრე I მისცა ბრძანება გენერალ-მაიორ კროპოტოვს. ამ ბრძანებაში ნათქვა-ამი იყო, რომ: „სომები ხალხი ითხოვს ჩვენს დახმარებას, გამოუყავით სომხებს, ის მიწები, რომელიც მატ მოეწონებათ, მოუარეთ და დაიცავით სომები ხალხი, იმიტომ, რომ ცვენ მათ მივეცით იმპერატორული მფარველობა“.

როგორი შედეგები ექნებოდა პეტრე I ესეთ პოლიტიკას აზერბაიჯანისათვის?

რუსების მიერ დაპყრობილ კასპიისპირეთში შეინიშნებოდა მეურნეობის განვითარება. ეს იყო განპირობებული იმით, რომ რუსეთის მთავრობა იყო დაინტერესებული აზერბაიჯანის ბუნებრივი რესურსებით. მაგრამ რუსეთის გეგმები სწრაფ გამდიდრებაზე ვერ გამართლდა, ჯარის შენახვა კი აქ ძვირი ჯდებოდა. ამიტომაც რუსი თავადები ითხოვდნენ კასპიისპირების მიწებზე უარის თქმას. რუსეთის მთავრობას მაინც ესინოდა ამ ტერიტორიების უცებ დატოვება, ვინაიდან ოსმალეთს შეეძლო უცებ შემოსვლა და ამ მიწების მითვისება.

1727 წელს ქალაქ შამახასთან ნაბურის დასახლებასთან რუსებმა და ოსმალებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, სადაც ზუსტად დაადგინეს ერთმანეთს შორის საზღვრები.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსმა ჯარმა დაიკავა ნიაზაბადი, ჯავადი, სალიანი, ლენქორანი, ასტარა, ყიზილაღაჯი და თალიშის მთების ნაწილი. 1728 წელს მათ ასევე დაპყრეს გუბა და ტენგე. კომენდატური მმართველთბა, ორმელიც იქმნებოდა დაპყრობილ ქვალაქებში 1726 წელს გაუქმდა და შეიცვალა ერთიანი საოკუპაციო მთავრობით. თავადი დოლგორუკი დაინიშნა ამ მთავრობის მეთაურად.

აზერბაიჯანის მიწები ოსმალეთის მმართველობის ხანაში. 1728 წელს ოსმალებმა შირვანის სათავეში მოიყვანეს არა ჰაჯი დაუდი, არამედ მისი თანამოაზრე, რომელიც მისი მოწინააღმდეგე გახდა სურხაი ხან კაზიკუმუხელი.

ოლქებში, რომელნიც ოსმალეტის მმართველობის ქვეშ იყვნენ შენარჩუნდა ძველი ადმინისტრაციულ – ტერიტორიული დაყოფა. აზერბაიჯანის მიწები დაყოფილი იყო ოლქებად (პროვინციებად), რომელნიც იყოფოდნენ სანჯაკებად. სანჯაკები იყოფოდნენ მალაგებად და მხარეებად (ნახიებად). პროვინციებში უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლება ეკუთვნოდათ ოსმალეთის მხედართმთავრებს, ომიანობის დროს -სარასკერებს, მშვიდობიან პერიოდში კი – მუხაფიზუებს. სანჯაკებები, მაგალებისა და ნახიების ნაიბები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისაგან შესდგებოდა.

აზერბაიჯანის მიწები მტკვრის პირას განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ. ამ მიწებს ვასალური მმართველები ფლობდნენ. ოსმალეტის მმართველობის დროს წარმოიშვა სერიოზული აგრარული ცვლილებები. დივანისა და ხასის მიწები გაერთიანდნენ საერთო სახელმწიფო მმიწების სახელწოდებით. ფეოდალების მიწები, რომელნიც მხარს უჭერდნენ ოსმალეთს- ხელშეუხლებელნი იყვნენ.

ოსმალეთის ორგანოები იყვანდნენ აღრიცხვაზე მოსახლეობას და თვითონეული სანჯაკისათვის აწესებდნენ თავის საგადასახადო პოლიტიკას. სპეციალურ რვეულებში იწერებოდა მოსახლეობის რაოდენობა და აგადასახადის ოდენობა. ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინერება და მათი კეტილდღეობისათვის ზრუნვით ზოგიერთ გადასახადეს დროებით არ ახდევინებდნენ. „ნახიჩევანის რვეულიდა“ სჩანს, რომ ოსმალებმა გაანთავისუფლეს გადასახადებისაგან ქალები, ბავშვები, მოხუცები და ინვალიდები, ასევე ავადმყოფები და პირები, რომელნიც გონებრივ საქმიანობას ეწეოდნენ.



სურხაი ხანი



როგორი იყო ოსმალეთის მართვის მეთოდის ძირითადი მიზანი აზერბაიჯანის მიწებზე?

LAW



რითი განსხვავდებოდა ოსმალების საგადასხადო პოლიტიკა სეფიანთთა საგადასახადო პოლიტიკისაგან, რომელსაც ატარებდნე სეფიანელები XVIII საუკუნის დასაწყისში?

ძირეული ცვლილებები აგრარულ სფეროში ოსმალებს არ ჩაუტარებიათ. სახელმწიფო მიწები გადასცეს პირობით სარგებლობაში იმ ფეოდალებს, რომელნიც ოსმალებს ემსახურებოდნენ. ასეთ მიწებს ბეილიკი და აღალიკი (თავადურები) ეწოდებოდათ.

ვაჭრობაში და ხელოსნობაში გადასახადები უცვლელი დარჩა. რიგ შემთხვევებში ოსმალები ანიჭებდნენ გადასახადების აკრების უფლებას კერძო პირებს, ამას **გამოსყიდვა*** ეწოდებოდა. ოსმალებმა დაარეგულირეს თავრიზის სამონეტო

სახლის პრობლემები. მიიღეს გარკვეული ზომები ვაჭრობის აღსადგენად.

ზოგიერთი იანიჩარი არღვევდა კანონს და ძარცვავდა მოსახლეობას. ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები მაინც ვერ კვეთავდნენ ასეთ ფაქტებს.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა. აზერბაიჯანელმა ხალხმა, რომლის ტერიტორიაც დაყოფილი იყო ორი სახელმწიფოს მიერ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. პასიური ფორმით მოსახლეობამ უარი განაცხადა გადასახადების გადახდაზე.



თქვენის აზრით, როგორ ისახებოდა მოსახლეობაზე გადასახადების აკრეფვის უფლების გადაცემა მოსახლეობაზე?

აზერბაიჯანის ფეოდალთა უმრავლესობამ დაიჯერა რუსეტის დანაპირები იმის შესახებ, რომ არ გააჩნია დამპყრობლური განძრახვა და დაიწყეს პროტესტების გამოთქმა. 1724 წლის ზაფხულში სალიანში მოხდა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა.

1727 წლის ბბოლოს ნახიჩევანში დაიწყო ეროვნულ- განმანთავისუფლებელი ბრძოლა ოსმალეტის წინააღმდეგ.



* **გამოსყიდვა** – მონოპოლიური, განსაკუთრებული უფლება სახელმწიფოს სახელით ნებისმიერი სახის გადასახადების აგროვება, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა გარკვეული თანხის გადახდის საფუძველზე.




კითხვები და დავალებები

- რა ფაქტორებმა განაპირობა რუსეთის გავლენის შეჩერებასი სამხრეტ კავკასიაში და კასპიის ბასეინში?
- დაამტკიცეთ, რომ პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი ანხორციელებდა კასპიისპირეთის რეგიონში იყო კოლონიალური ხასიათის.
- რა ნაბიჯები გადადგა რუსეთმა თავისი სოციალური დასაყრდენის სესაქმნელად კასპიისპირეთის მიწებზე?
- სეადგინეთ სქემა „ოსმალეთის ადმინისტრაციული მმართველობა აზერბაიჯანში“.
- გადაწერეთ რვეულში ცხრილი ამ დროის აზერბაიჯანში განხორციელებული პოლიტიკის შესახებ და შეავსეთ იგი.

სახელმწიფოები	დაპყრობილი მიწები	განხორციელებული ზომები	რეზულტატი
რუსეთის იმპერია			
ოსმალეთის იმპერია			

- განსაზღვრეთ ისტორიული მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.



LAYIH

11. ნადირ ხან აფშარმა აღადგინა სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრები

XVIII საუკუნის 30-ან წლებში სიტუაცია აზერბაიჯანში შეიცვალა. სახელმწიფოს ტერიტორია იქცა ოსმალეთ- სეფიანთთა ომების არენად. იმის შემდეგ, რაც სეფიანთთა სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილი ავღანელებმა დაიპყრეს, ხოლო დასავლეთი - ოსმალებმა სახელმწიფო სეროზული საფრთხის წინასე აღმოჩნდა. საჭირო გახდა შიდა ძალების გაერთიანება.



ვინ იკისრა თავის თავზე ეს საპასუ-
ნისგებო მისია?

რა გააკეთა მან სეფიანთთა სახელმ-
წიფოს გასანთავისუფლებლად?



სეფიანთთა სახელმწიფოს საზღვრების აღდგენა. ნადირ ხან აფშარი. XVIII საუკუნის მსოფლიოს გამორჩენილი მხედართმთავარი იყო ნადირ ხან აფშარი. ნადირი წარმოშობით თურქული აფშართა ტომიდან იყო წარმოშობით. აფშარები გამოირჩეოდნენ თავიანთი სიმამაცითა და ბრძოლისუნარიანობით, მათ მნიშვნელოვანი როლი ეკავათ სეფიანთთა ჯარში. ჯერ კიდევ შაჰ აბას I თავისი საზღვრების დასაცავად უზბეკებისა-
გან ხორასანში აფშართა ტომი გააგზავნა.

1726 წლიდან ნადირ ხან აფშარმა დაიწყო მსახურობა თაჰმასიბ II ჯარში. თაჰმასიბ II სიმამაცისათვის და ნიჭის გამო იგი მხედართმთა-
ვრად დანიშნა.

სასახლის თავადებს შეშურდათ ნადირ ხანისა და სეეცადნენ შუღლი ჩამოეგდოტ მასსა და თაჰმასიბ II შორის. საბოლოოდ ასეც მოხდა და თაჰმასიბ II და ნადირ ხანს შორის სამხედრო დაპირისპირებაც კი მოხდა. მართალია ნადირ შაჰმა გაიმარჯვა, მაგრამ თაჰმასიბ II მაინც დატოვა შაჰიდ. ამის შემდეგ ნადირ შაჰმა დაიპყრო ისფაჰანი და გააგრ-
ძელა ავღანელებთან ბრძოლა, რის შედეგადაც გაანთავისუფლა უამრავი სეფიანთთა მიწები. ხორასანისა და მთელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ირანის განთავისუფლების შემდეგ ნადირ ხანი გაემართა გერათისაკენ.

მას კიდევ ერთი ბრძოლა ელოდა ამჯერად უკვე ოსმალებთან, რომელნმაც დასავლეთ სეფიანთთა მიწები დაიპყრეს. მან სეფიანთთა სახელით მიმართა ოსმალებს მოთხოვნით დებრუნებინათ ყველა ის ტერიტორია, რომლებიც მათ 1723 წელს მიითვისეს. პასუხად უარი მიიღო. ამიტომაც 1730 წელს ნადირ ხანმა დაიწყო საომარი მოქმედებები ოსმალეთის წინააღმდეგ. მალე მან ხამადანი და კირმანშაჰი გაანთავისუფლა. მარაგასთან მან სძლია ოსმალებს და თავრზს მიუახლოვდა. ამ გამარჯვების შემდეგ აზერბაიჯანის გარკვეულ ოლქებში დაიწყო სახალხო აჯანყებები ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ დროს ოსმალეთის შიგნით არსებული მდგომარეობის გამო ოსმალები ვერ ახერხებდნენ ნადირ ხანის წინააღმდეგ ჯარის მობილიზაციას. სამწუხაროდ, ვერც ნადირ ხანმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი. ავღანელების გააქტიურებამ გერათში აიძულა იგი უკან გაბრუნებულიყო.

მშვიდობიანი ხელშეკრულება სეფიანთთა და ოსმალეთის სახელმწიფოს შორის. სანამ ნადირ ხანი ხორასანში ომობდა, შაჰ თახმასიბ II, ხალხში ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, შეკრიბა ჯარი და ოსმალებს თავს დაესხა. ოსმალებმა იგი ირევანის მახლობლად დაამარცხეს. მათ კვლავ დიპყრეს კირმანშახი, ხამადანი, ურმია და თავრიზი. მძიმე მდგომარეობაში არმოჩენილი შაჰ თახმასიბ II იძულებული გახდა ოსმალეთთან ზავი დაედო. ნადირ ხანის პროტესტის მიუხედავად, რომელიც მაშინ ხორასანში იმყოფებოდა, შაჰ თახმასიბ II მაინც დადო ოსმალეთთან

1732 წლის 16 იანვარს კირმანშახის მშვიდობიანი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შაჰ თახმასიბ II გადასცა ოსმლებს სამხრეთ კავკასიის მიწები მდინარე არაქსის ჩრდილოეთით. მდინარე არაქსი სასაზღვრო მდინარედ იქცა.



რა საერთო ხაზები აქვთ XVIII საუკუნის 30 წლების სეფიანთთა პოლიტიკას შაჰ აბას I პოლიტიკასთან?



როგორ ახასიათებენ ეს ზომები ნადირ ხანს, როგორც მხედართმთავარს?



რა პოლიტიკური გავლენა მოახდინა ქვეყანაზე შაჰ თახმასიბ II მხედართმთავრულმა უნიათობამ?

LAYIH



ნადირ ხანის ხანჯალი

ნადირ ხანი ისფაპანში დაბრუნდა ხორასანიდან და 1732 წლის აგვისტოში მან მოაწყო ყველა გავლენიანი ტომების ყურულთაი (ყრილობა). მან გადააყენა შაჰ თახმასიბ II ტახტიდან და მის ადგილას დანიშნა მისი რვათვიანი შვილი აბას მირზა შაჰად, შაჰ აბას III სახელით.

ამის შემდეგ ნადირ ხანმა კვლავ შეუთვალა ოსმალეთს თავისი მოთხოვნა მიწების დაბრუნებაზე. კვლავ უარი მიიღო. 1732 წლის ბოლოს ნადირ ხანმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები. მან დაიპყრო ხამადანი და კიმანშახი, დაამარცხა ოსმალები ბალდადთან. 1733 წლის ტებერვალში მან ზავი დადო ოსმალების მხედართმთავართან ბარდადში. ამ ხელსეკრულების მიერ ოსმალეთმა დააბრუნა ყველა ათი წლის განმავლობაში დაპყრობილი ტერიტორია.



რას მიაღწია ნადირ ხანმა მცირეწლოვანი აბასის შაჰად გამოცხადებით?

კასპიისპირეთის უკან დაბრუნება. შემდომ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის მიერ წარტმეული მიწების დაბრუნება. ჯერ კიდევ 1732 წლის 21 იანვარს სეფიანთთა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთთან ქალაქ რეშთში. რეშთის ხელშეკრულება შესდგებოდა 8 პუნქტისაგან. ამ ხელშეკრულების მიხედვით რუსეთი უარს აცხადებდა ყველა მტკვრის სამხრეთ სანაპიროს მიწებზე სეფიანთთა სასარგებლლოდ და არ დაუშვებდა ოსმალეთის მიერ ამ მიწების დაპყრობას. ამის სანაცვლოდ სეფიანთთა სახელმწიფო დაპირდა რუსეთს მეგობრობას. რუსეთის მთავრობა ასევე იღებდა ვალდებულებას ყველანაირი გადასახადების გარეშე დაეშვა სეფიანთთა ვაჭრები თავის ტერიტორიაზე და ასევე იღებდა ვალდებულებას საქონლის გაშვებაზე ყველანაირი გადასახადის გარეშე.

თავისმხრივ სეფიანთთა სახელმწიფო ასევე აძლევდა ნებართვას რუს ვაჭრებს ყველანაირი გადასახადების გარეშე ევაჭრათ, გაეტარებინათ რუსი ვაჭრები ინდოეთში



შეადარეთ ბალდადისა და კირმანშახის ხელშეკრულების პირობები.

ყველანაირი გადასახადების გარეშე. რეშთის ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფოში დამყარდა სიმშვიდე. მტკვრის სამხრეთით მდებარე კასპიისპირეთის მიწები კვლავ სეფიანთა სახელმწიფოს გადაეცათ.

1734 წელს ნადირ ხანმა შამახა და განჯა გაანთავისუფლა, დაიწყო მოლაპარაკებები რუსეთთან მათი ჯარის გაყვანაზე კასპიის-პირეთის მიწებიდან.

1735 წლის 21 მარტს ნადირ ხანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეტთან, რომელსაც შემდგომ „განჯის ხელშეკრულება“ ეწოდა. ამ ხელშეკრულების მიხედვით რუსული ჯარი მთლიანად გადიოდა კასპიისპირეთის მიწებიდან, რის შემდეგაც აღდგებოდა წინა მმართველობა. განჯის ხელშეკრულებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსი ვაჭრების უფლება გადასახადების გარეშე ვაჭრობაზე სეფიანთა სახელმწიფოში.

ნადირ ხანს სურდა ბოლომდე დაელა-გებინა ურთიერთობები ოსმალეთთან. ამ მიზნით მან დაიწყო გადამწყვეტი ომი ოსმალეთთან. 1735 წელს სისხლისმდვრელი ომი მოხდა უჩკილსეს* ჩრდილო-აღმოსავლეთით ნადირ ხანისა და ოსმალეთის ჯარებს შორის. 1735 წლის ბოლოს ოსმალეთის ჯარი იმულებული გახდა დაეტოვებინათ სეფიანთა ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში.



რა საერთო აქვთ რეშთისა და XVII საუკუნეში სეფიანთ-რუსეთის ხელშეკრულებას?



როგორ ფიქრობთ, შესძლებდა თუ არა აზერბაიჯანი გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო რუსული და ოსმალური ჯარების გაყვანის შემდეგ?



* უჩკილსე – სომხები ამ ძირმველ აზერბაიჯანულ მიწას „ექმია-ძინს“ უწოდებენ

LAYTIN



კითხვები და დავალებები

1. გადაწერეთ რვეულში XVIII საუკუნის 20–30-ან წლებში დადებული სეფიანთთა ხელშეკრულებების ცხრილი და შეავსეთ იგი.


ხელშეკრულების დასახელება	თარიღი	რომელ სახელმწიფოებს შორის	პირობები

2. მიეცით ნადირ ხანს შეფასება აზერბაიჯანული მიწების განთავისუფლებაში.

3. მოგვიყევით ნადირ ხანის სამხედრო ოპერაციების შესახებ კავკასიაში.

4. რა საერთო აქვთ ამ მმართველებს შაჰ ისმაილ I, შაჰ თაჰმასიბ I, საჰ აბას I და ნადირ ხანს?

5. განსაზღვრეთ ისტორიული მოვლენები წლების მიხედვით დროის ხაზზე.



LAYIH

12. აფშართა აზერბაიჯანული სახელმწიფო

1. იმპერია ერთი ცხოვრების ხანგრძლივობით

ავღანელების გაუნებელყოფის, რუსეთის და ოსმალების მიერ დპყრობილი მიწების დაბრუნების შედეგად სეფიანთთა სახელმწიფოში დამყარდა სტაბილურობა. ნადირ ხან აფშარმა დაიწყო ხელისუფლების გამყარება. მოუხედავად იმისა, რომ იგი ატარებდა ნაიბუსულთანეს (სამეფოს რწმუნებული) წოდებას, სინამდვილეში მთელი ხელისუფლება მას კუთვნოდა. სახელმწიფოს საზღვრების აღდგენის დამსახურება მას კუთვნოდა. ხელისუფლების ძალით ხელსი ჩაგდება არ შეეძლო, იმიტომ რომ, ამ შემთხვევაში უმრავლესობა არ სცნობდა მის ხელისუფლებას.



როგორ შექმნა ნადირ ხანმა თავისი ახალი სახელმწიფო?
როგორი იყო სახელმწიფოს შიდა პოლიტილა?



იმისათვის, რომ ოფიციალურად მიეღო ხელისუფლება, ნადირ ხან აფშარმა მოიწვია ყურულთაი (რილობა) სახელმწიფოს ყველა წარმომადგენლით და გამოაცხადა თავი შაჰად. ამით მან კანონიერი ძალა მისცა ამ გადაწყვეტილებას. ამისათვის მან ყურულთაი მუდანში მოიწვია.

ყურულთაი 1736 წლის მარტში იქნა მოწვეული სიგოვუშთან. აქ მონაწილეებმა აღნიშნეს რამაზანი და გამოიტანეს საკითხი ნადირ ხანის შაჰად არჩევის შესახებ. თათბირის შემდეგ ყურულთაის მონაწილეებმა მისცეს თანხმობა ნადირ ხანის შაჰად გამოცხადებაზე.

ამით დასრულდა სეფიანთთა სახელმწიფოს ისტორია და დაიწყო აზერბაიჯანული აფშართა დინასტიის მმართველობა.



ნადირ შაჰ აფშარი



ნადირ შავი ბრძოლის დროს



რუკის საფუძველზე
შეადარეთ სეფიანთა
სახელმწიფოსა (ფ. 9) და
აფშარების იმპერიის
ტერიტორიები (77 ფ.).



რა გავლენას ახდენდა ნა-
დირ შავის მიერ ჩატარე-
ბული ოონისძიებები
სახელმწიფოს ცენტრალ-
ური ხოლოსუფლების გას-
აძლიერებლად?

ყურულთაიში მონაწილე ყარაბაღულმა
ტომებმა ზიადოღლუმ, ოტუზიკმა, კებირ-
ლიმ და ჯავანშირმა მხარი არ დაუჭირეს
ნადირ ხანს. ამითომაც ნადირ ხანმა შემდგ-
ომში გადაასახლა ტომების უფროსები მათი
ოჯახებით ხორსანში. განჯის ბეილარბეგის
დასჯის მიზნით ბორჩალი და ყაზახი, რომ-
ელიც ადრე განჯის საბეილარბეგოში შედიო-
და გადაეცა ქართლის მმართველს, რომელიც
ადრე აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში
იმყოფებოდა.

ყარაბაღის სამელიქოები გამოყვანილ იქნა
საბეილარბეგოდან და შავის პირდაპირ დაქვ-
ემდებარებაში იყო გადაყვანილი. ყველა ეს
ნაბიჯი წარუმატებელი გახდა შემდგომი აზე-
რბაიჯანის ისტორიისათვის.



ნადირ შაჰი ტახტზე

ნადირ შაჰის შიდა პოლიტიკა. ნადირ შაჰის მიერ მიღებული იქნა ზომები სახელმწიფოს ცენტრალიზებისათვის. მან ჩატარა რეფორმები სასახლისა და სახელმწიფოს მმართველობით სისტემასი. გაუქმებული იყო ვაზირისა და სადრ – აზამას თანამდებობები.

სახელმწიფო დაყოფილი იყო ოთხ დიდ პროვინციად: აზერბაიჯანი, აჯე-მური ერაყი, ხორასანი და ფარსი. ნადირ შაჰმა ასევე გააუქმა სეფიანთთა სახელმწიფოდან შემორჩენილი შირვანის, კურაბაღის, ჩუხარსაადისა და თავრიზის სახეილარბეგოები.

მან გააერთიანა აზერბაიჯანი ერთიანი მმართველობით თავრიზში. აქ მმართველად თავისი ძმა იბრაჰიმი დანიშნა. მმართველობა, რომელმაც ნარირ შაჰი აღიარეს მან დაუნიშნა თავისი ნაიბები.



ნადირ შაჰის სახელით
დაბეჭდილი მონეტა

LAW



წყაროების მიხედვით ნადირ შაჰ აფშარმა შეკრიბა უფროსი მოლები და ჰქითხა თუ როგორ ხარჯავდნენ ისინი თანხებს. მან მოუსმინა მათ და ბრძანა სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვათ მათთვის მათი ქონებები. ნადირ შაჰი ასევე წინააღმდეგი იყო მუსულმანების სუნიტებად და შიიტებად დაყოფაზე.

ნადირ შაჰმა ბრძანა ყურანთან ერთად ასევე ბიბლია და ტალმუდი ეთარგმნათ. ამ მიზნებისათვის შეიქმნა პეციალური თარჯიმანთა ჯგუფი.

როგორ ახასიათებს ეს ისტორია ნადირ შაჰს, როგორც მმართველს?

ნადირ შაჰმა ასევე ჩაატარა საგადასახადო რეფორმა. პირველ რიგში მან მოაწესრიგა გადასახადების გადახდა. სახელმწიფოში ზუსტი კონტროლი წყალობით სახელმწიფო ეკონომიკა მაღლ გამოსწორდა. ნადირ შაჰის შიდა პოლიტიკამ გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლება და დაასუსტა



რითი განსხვავდებოდანდირ შაჰის სამხედრო რეფორმა შაჰ აბას I რეფორმისაგან?

პოლიტიკას ინარჩუნნებდა, მაგრამ თავისი სიახლეებიც შეიტანა. წამყვან ძალას ჯარში ისევ მხედრები წარმოადგენდნენ. იმიტომ, რომ იმ დროის ომებში სწრაფი და მოულოდნელი შეტევები იყო გამრჯვების საწინდარი.

მაგის გარდა ნადირ შაჰ აფშარის დროს გახშირდა მჩატე არტილერიის (ზანბურაკების) გამოყენება.



გადაურჩებოდა თუ არა აზერბაიჯანი შემდგომ ოკუპაციას ნადირ შაჰის სამხედრო პოლიტიკის გაგრძელებით?

ნადირ შაჰი იყო შორსმჭვრეტელი მმართველი. იგი ხვდებოდა სამხედრო – საზღვაო ფლოტის არსებობის საჭიროებას საზღვაო სახელმწიფო-სათვის. საჭირო იყო სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ასევე ზღვიდანაც. ამიტომაც, ნადირ შაჰმა მიიღო გადაწყვეტილება სპარსეთის ყურეში და კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის შექმნის თაობაზე. ამ მიზნით მან მოლაპარაკებები ჩაატარა ინგლისთან, პოლანდიასთან და რუსეთთან.

მაგრამ ევროპული სახელმწიფოები, რომელნიც სამომავლოდ ფიქრობდნენ ამ რეგიონის დაპყრობას, ყველანაირად უშლიდნენ ხელს ნადირ შაჰის ამ ჩანაფიქრს. ოსმალეთან ახალმა ომმა უარი ატქმევინა ნადირ შაჰის სპარსეთის ყურეში ფლოტის შექმნაზე. მაგრამ, ამის მიუხედავად ნადირ შაჰმა მოგვიანებით მაინც წამ-



არტილერისტი – ზანბურაკი

ოწია ეს საკითხი. მან მიიღო ზომები სამხედრო გემების ასაშენებლად და სპეციალისტების მოსამზადებლად. ამისათვის კასპიის ზღვაზე აშენდა გემმშენებელი ქარხანა. მისი ძალი-სხმევით აშენდა ზარბაზნების ქარხნები.



რატომ შეეცადა რუსეთის სახელმწიფო, ნადირ შაჰის მცდელობის ხელის შეშლას კასპიის ზღვის ფლოტის მშენებლობაში?



მკვლევარები და ისტორიკოსები ადრიან ნადირ შაჰს ნაპოლეონს. თვითონ ნაპოლეონიც იყო მაღალი წარმოდგენის მქონე ნადირ შაჰზე. იგი გამოთქვამდა საინტერესო აზრებს ნადირ შაჰის სამხედრო ტალანტზე. ნაპოლეონი ამბობდა, რომ ნადირ შაჰი იყო უდიდესი მებრძოლი, მას გააჩნდა ისეთი ძლიერი ძალა, რომ აშინებდა იმათ ვინც მის წინააღმდეგ რაიმე ცუდის ჩადენას აპირებდა, შიშის ზარს სცემდა მტრის ჯარს. იგი იყო სამშობლოს მტრების რისხვა და სიამაყით მართავდა თავის სახელმწიფოს.

ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობა შეჩერდა.

ყველა ეს ნაბიჯები გადადგმული იყო სახელმწიფოს გასაძლიერებლად და თავისი ნაყოფები გაძოილო. მაოგრამ, გადასახადების გაზრდამ მოსახლეობის გადაკება დაიწყო. შაჰის ბრძანებით მოსახლეობას ჯარში იწვევდნენ. ვაჭრებისა და ხელოსნების გადასახლებამ ხორასანში

LAZI


მნიოსვნელოვანი ზიანი მიაყენა აზერბაიჯანის ქალაქების განვითარებას.

XVIII საუკუნის 30–40 წლებში აზერბაიჯანის ყოფითი ცხოვრება მოისპო, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები ხშირდებოდა.



კითხვები და დავალებები

1. რა შედეგები მოუტანა აზერბაიჯანს მუდანის ყურულთაიმ?
2. რაში მდგომარეობდა საგადასახადო რეფორმა, რომელსაც ნადირ შაჰი ატარებდა?
3. რითი განსხვავდებოდა ნადირ შაჰის ადმინისტრაციული პოლიტიკა, სეფიანთთა სახელმწიფოს პოლიტიკისაგან?
4. შეადარეთ ვენას დიაგრამით ნადირ შაჰი და სეფიანთთა დინასტიის წარმომადგენელი შაჰ აბას I



II. მარცხისაკენ მიმავალი გზა

XVII საუკუნის 30 წლებში გადასახადების გაზრდა და ფეოდალური წნები გახდა აზერბაიჯანის მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზი. ის ვინც ვერ უწევდა წინააღმდეგობას ტოვებდნენ თავის საცხოვრებელ ადგილებს. ზოგიერთ შემთხვევებში ელატებიც კი სახლ-დებოდნენ მეზობელ ოლქებში. აღარ რჩებოდა ხალხი ჯარიში გასწვევად და მიწის დასამუშავებლად. ნადირ შაჰმა ბრძანა გაქცეული მოსახლეობის უკან დაბრუნება და მათი დასჯა.



რა გახდა ნადირ შაჰის წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი?
სად მოხდა პირველი აჯანყება?



პირველი აჯანყებები. ნადირ შაჰის გადასახლების და საგადასახადო პოლიტიკა ხალხმა უარყოფით მიიღო. ნადირ შაჰის წინააღმდეგ გამოსვლები კი მისი მეზობელ ქვეყნებში სამხედრო ლაშქრობების დროს ხდებოდა.

